პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ Орган Центрального и Тбилисского комитетов КП (б) Грузии и Советов депутатов трудящихся Грузинской ССР

სამშაბათი
18 ივნისი
1940 წ.
№ 139 (5840)
ფასი 10 კაპ.

F75 N165.

კიდევ უფრო გულმოდგინედ ვიმუშაოთ მარქსიზმ-ლენინიზმის დაუფლებაზე

ჩვენმა ხელმძღვანელმა კადრებმა, პარტიულმა და არაპარტიულმა ბოლშევიკებმა, რომლებიც დაუცხრომელი ინტერესით მუშაობენ ლენინ-სტალინის პარტიის სახელოვანი წარსულის შესწავლაზე, ღრმად შეიგნეს, რომ ბოლშევიზმის თეორიის დაუფლება შეძენის საქმეა. პარტისტორიის სტალინური სახელმძღვანელოს შესწავლაზე გულმოდგინე მუშაობამ მთელი სიცხადით გვიჩვენა, რომ სურვილი და მონდომება, ნებისყოფა, ნამდვილი ბოლშევიკური ნებისყოფა გადალახავს დაბრკოლებათა ყოველგვარ ზღუდეებს თეორიის დაუფლების გზაზე.

რა სასაცილოდ გვეჩვენება ახლა წუწუნი იმაზე, თითქოს თეორიის დაუფლება ძალუძს მუშაკთა მხოლოდ მცირე ჯგუფს!

ჩვენს თვალწინ გაიზარდა ასე უმაგალითოდ ინტერესი და გემოვნება თეორიის შესწავლისადმი, ჩვენს თვალწინ განმტკიცდა რწმენა საკუთარი ძალისადმი.

ათეულათასობით ჩამოითვლებიან ამხანაგები, რომელთაც საფუძვლიანად შეისწავლეს მარქსიზმ-ლენინიზმის დარგში ძირითად ცოდნათა ენციკლოპედია—„საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი", ამხანაგები, რომელთაც გაიგეს თეორიის გემო და ახლა უფრო მეტი მონდომებით დაიწყეს მუშაობა მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის ნაშრომების შესწავლაზე. ათეულათასობით ადამიანი მუშაობს ახლა მარქსიზმის კლასიკოსთა ნაშრომებზე, იმისათვის, რომ უფრო ღრმად ჩასწვდეს მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებს, უფრო მეტად გააფართოოს კულტურულ-პოლიტიკური ჰორიზონტი.

ბოლშევიზმის თეორიის დაუფლებისადმი ამ დაუცხრომელ ინტერესს გამოხატავდნენ ამ დღეებში საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. ლენინის რაიკომში შემდგარ თათბირზე, ამხანაგები, რომელთაც დაამთავრეს „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" შესწავლა. რა გამოცდილება დააგროვეს მათ წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობის პროცესში? როგორ და რა ხერხებით სწავლობდნენ ეს ამხანაგები მარქსიზმ-ლენინიზმის ძირითად ცოდნათა ამ შესანიშნავ ენციკლოპედიას? რას ფიქრობენ ისინი მომავალში მარქსისტული ცოდნის შემდგომი გაღრმავებისათვის?

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომმა სწორედ ამიტომ მოიწვია ეს ამხანაგები. და ამ თათბირზე მოვიდა სულ მცირე ორასამდე კაცი.

თბილისის სატვირთო სადგურის უფროსის მოადგილე ამხ. ი. ჩხიკვაძე, რომელმაც დაამთავრა პარტისტორიის სახელმძღვანელოს შესწავლა, კმაყოფილებით მოუთხრობდა თათბირს როგორ შეისწავლა ლენინის შრომები—„სოციალ-დემოკრატების ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში" და „რანი არიან „ხალხის მეგობრები" და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ?", როგორ შეისწავლა აგრეთვე „მანიფესტი კომუნისტური პარტიისა" და როგორ ხელმძღვანელობდა სტალინის „ლენინიზმის საკითხებით".

ექიმმა ივ. კუჭაშვილმა კარგად შეიგნო ბელადის ბრძნული მითითება იმის შესახებ, რომ არის მეცნიერების ერთი დარგი — მარქსისტულ-ლენინური მეცნიერება, რომლის ცოდნა სავალდებულო უნდა იყოს მეცნიერების ყველა დარგის ბოლშევიკებისათვის. იგი გულმოდგინედ სწავლობს სამედიცინო ლიტერატურას და ასევე გულმოდგინედ ზრუნავს მარქსისტულ-ლენინურ თეორიის დაუფლებისათვის.

ცნობილია, რომ მაგალითის ძალა უდიდესი ძალაა. ჩვენ გვყავს პარტიულ ორგანიზაციათა ისეთი ხელმძღვანელები, რომლებიც იძლევიან წიგნზე მუშაობის მშვენიერ მაგალითებს. თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონ-სარემონტო ქარხნის პარტკომის მდივანმა ამხ. კუჭავამ და თბილისის დეპოს პარტბიუროს მდივანმა ამხ. გეტაშვილმა უკვე დაამთავრეს პარტისტორიის შესწავლა. სისტემატურად მუშაობენ რა თავიანთ იდეურ-თეორიულ დონის ამაღლებაზე, ისინი თავისუფლად ერკვევიან არა მარტო მიმდინარე პოლიტიკის საკითხებში, არამედ მსჯელობენ თეორიის რთულ პრობლემებზეც. ამ ამხანაგებს როდი ეშინიათ „პირისპირ" შეხვდნენ კომუნისტებს, ესაუბრონ მათ ბოლშევიზმის თეორიის საკითხებზე, გამოარკვიონ მათი მომზადების დონე და საჭიროების შემთხვევაში აღმოუჩინონ კიდეც დახმარება.

მაგრამ ყველგან ასე როდი მუშაობენ. პარტიული პროპაგანდა ჩაშლილია იქ, სადაც ეს საქმე თვითდინებაზეა დამყარებული, სადაც პარტორგანიზაცია და ხელმძღვანელები არსებითად არ ხელმძღვანელობენ კომუნისტების მარქსისტულ-ლენინურ აღზრდას. ასეთი მაგალითები არც თუ ისე ცოტაა. ლანჩხუთის რაიონში ჯანმრთელობის განყოფილებასთან არსებულ პირველადს პარტორგანიზაციაში, სადაც ირიცხებიან ამხანაგები უმაღლესი განათლებით, აშკარად ჩაშლილია პარტიული პროპაგანდა და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ პარტორგანიზაციის მდივანს ლ. კუკულაძეს და მის მოადგილეს ა. ქერქაძეს ჯერაც არ დაუწყიათ „მოკლე კურსის" შესწავლა. ასეთივე მდგომარეობაა სოფ. ალანის ტერიტორიულ პარტორგანიზაციაში. ბაშკიჩეთის რაიონში არიან პარტიული ორგანიზაციები, სადაც სრულებით არ აქცევენ ყურადღებას პარტიულ პროპაგანდას. მაგალითად სოფ. დეგურბულაღის პირველადი პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. მოისეევი არ კითხულობს პარტისტორიას, და გასაგებია, რომ იგი ვერავითარ დახმარებას ვერ გაუწევს პარტისტორიის შემსწავლელ ამხანაგებს. ამავე რაიონის რაიკავშირის პარტორგანიზაციაში არ არის შექმნილი საზოგადოებრივი აზრი იმათ წინააღმდეგ, ვინც არ ასრულებს პარტიის საწესდებო მოვალეობას, არ ზრუნავს თავისი შეგნებულების ამაღლებისათვის, მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლებისათვის.

დროა შევაგნებინოთ ასეთ ამხანაგებს, რომ ისინი დიდხანს ვერ დარჩებიან პასუხსაგებ პოსტებზე, თუ ასე უდარდელნი იქნებიან თეორიის დაუფლების დარგში.

იმისათვის, რომ იყო ჩვენი ეპოქის მოწინავე ადამიანი, შეგწევდეს უნარი სწორად განსჭვრიტო მოვლენები, უნდა იყო ყოველმხრივ მარქსისტულად განათლებული, საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების კანონებს დაუფლებული.

ბოლშევიზმის ყოვლისშძლე თეორიის საფუძვლიანად დაუფლება მოითხოვს ბეჯით და დაჟინებით მუშაობას. ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ შეგვიძლია დავკმაყოფილდეთ მიღწეულით, რადგან მიღწეულით კმაყოფილდებიან მხოლოდდამხოლოდ თვითკმაყოფილების სენით დაავადებული ადამიანები.

ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ სისტემატურად ვზრუნავდეთ ჩვენი კადრების იდეურ გამოწრთობისათვის, მათი საერთო კულტურულ-პოლიტიკური ჰორიზონტის ყოველმხრივ გაფართოებისათვის.

მწერალთა დელეგაცია მოსკოვიდან გამოემგზავრა

მოსკოვი, 17 ივნისი (**ტელეგრ. ჩვენი საკ. კორ.**). დღეს ჩქარი მატარებლით თბილისს გამოემგზავრა მოსკოვის მწერლების დელეგაცია აკადემიკოს ლუპოლის, კირპოტინის, ვიქტორ გოლცევის, სერგეი სპასკის, ბორის ბრიკის, ლიპსკეროვის, ტარლოვსკის შემადგენლობით. მათთან ერთად მოემგზავრება უზბეკი მწერალი გაფურ გულიამი. დელეგაცია მონაწილეობას მიიღებს საქართველოს მწერლების კავშირის გაფართოებულ პლენუმში, რომელიც მიეძღვნება აკაკი წერეთლის დაბადების ასი წლისთავის იუბილეს. პლენუმის მუშაობის დამთავრების შემდეგ დელეგაცია მონაწილეობას მიიღებს მიტინგში, რომელიც საჩხერეში შესდგება. იუბილეს ჩამტარებელი სრულიად-საკავშირო კომიტეტის თავმჯდომარე ალექსი ტოლსტოი გამოემგზავრება უახლოეს ორ-სამ დღეში.

წიგნი საბჭოთა კავშირის შესახებ

რიგა, 16 ივნისი (საკდესი). რიგაში გამოიცა წიგნი „ლიტერატურული ჩანაწერები", სადაც ქვეყნდება სსრ კავშირისა და ლატვიის ურთიერთდახმარების ხელშეკრულების ტექსტი, ამხ. ვოროშილოვის სიტყვა საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე, სტატიები საბჭოთა კავშირის სამხედრო-საზღვაო და საჰაერო ფლოტების შესახებ, სტატია „ჩვენი დროის დიდი მფრინავი", მიძღვნილი ამხ. ჩკალოვისადმი, სტატია წითელი არმიის კულტურისა და ყოფაცხოვრების შესახებ, 8 ყველაზე პოპულარული საბჭოთა სიმღერა, სტატისტიკური მასალა სახალხო განათლების შესახებ სსრ კავშირში, სტატიები ხელოვნებასა, ლიტერატურასა, კინოს შესახებ.

კრებული გამოცემულია რუსულ ენაზე. იგი დიდი პოპულარობით სარგებლობს.

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატების საყურადღებოდ

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს მე-2 სესია გაიხსნება ა. წ. 19 ივნისს, საღამოს 7 საათზე გრიბოედოვის სახელობის თეატრში.

თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატები შედიან თავიანთი სადეპუტატო ბილეთებით.

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

1940 წლის 19 ივნისს, საღამოს 8 საათზე თბილისის რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსან სახელმწიფო თეატრში შესდგება

ხელოვნების მუშაკთა საერთო საქალაქო კრება

შემდეგი დღისწესრიგით:
1. საერთაშორისო მდგომარეობა და საბჭოთა ინტელიგენციის როლი მშრომელთა ინტერნაციონალურ აღზრდაში (მომხსენებელი—ამხ. ვ. გრიგორიანი).
2. მოსკოვის ხელოვნების მუშაკთა საერთო-საქალაქო კრების მომართვის განხილვა.
3. მხატვრული განყოფილება. შესვლა მოსაწვევი ბილეთებით.

საქ. რემედასის ცენტრალური კომიტეტი
საქ. ხელოვნების მუშაკთა კავშ. რესპუბლიკური კომიტეტი.

კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკის პავილიონის გახსნა

მოსკოვი, 16 ივნისი. იმ დღეს, როცა კარელ-ფინელი ხალხი ირჩევდა თავის წარმომადგენლებს სსრ კავშირის და კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოებში, სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მოხდა მეთორმეტე მოკავშირე რესპუბლიკის პავილიონის საზეიმო გახსნა.

წვიმიანი ამინდის მიუხედავად, პავილიონთან თავი მოიყარეს ათასობით ექსკურსანტებმა.

მიტინგს ხსნის გამოფენის დირექტორის მოადგილე ამხ. ნ. ი. ზახაროვი. იგი სიტყვას აძლევს რესპუბლიკის მიწათმოქმედების სახალხო კომისარს ამხ. მირონოვს.

ამხ. მირონოვი თავის სიტყვაში ლაპარაკობს იმ სახელოვან გზაზე, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში კარელ-ფინელმა ხალხმა განვლო. ლაპარაკობს ლენინისა და სტალინის უდიდეს როლზე კარელ-ფინელი ხალხის აღორძინებაში.

— 1939 წელმა, — ამბობს ამხ. მირონოვი, — ჩვენს რესპუბლიკაში განვლო წლევანდელ გამოფენაში მონაწილეობის უფლებისათვის შეჯიბრების ნიშნით. შარშან კარელიიდან იყო გამოფენის 110 მონაწილე, ამჟამად კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკიდან არის 600-ზე მეტი მონაწილე.

ამხ. მირონოვის ბოლო სიტყვები, რომლებითაც მან დღეგრძელობა უსურვა ხალხთა ბელადს ამხანაგ **სტალინს** მქუხარე ხანგრძლივი ტაშით იფარება.

ამხ. მირონოვი კარელია-ფინეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის პავილიონს გახსნილად აცხადებს. გაისმის „ინტერნაციონალის" ხმები. აფრიალდა წითელი დროშები. ამხ. მირონოვმა მაკრატლით გადასჭრა წითელი ლენტი, და პირველად მოსულმა ათასობით დამთვალიერებლებმა აავსეს გამოფენის ახალი პავილიონი. (საკდესი).

ქრონიკა

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ ა. ი. ტოვსტოპალოვი დანიშნა ელექტრომრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილედ. (საკდესი).

სსრ კავშირისა და კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოების არჩევნები

კარელია-ფინეთის რესპუბლიკის დედაქალაქში

პეტროზავოდსკი, 16 ივნისი (საკდესი). დღეს № 1 სანაპირო ოლქის ამომრჩევლებმა უდიდესი აღფრთოვანებით მისცეს ხმა კარელ-ფინელი ხალხის მიერ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის პირველ კანდიდატად წამოყენებულ დიდ **სტალინს.**

პეტროზავოდსკის საარჩევნო უბნებში დღეს კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კენჭი იყარეს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **ა. ა. ანდრეევმა, ოტო კუუსინენმა, ტოივო ანტიკაინენმა, გ. ნ. კუპრიანოვმა,** ქარსის ფაბრიკის სტახანოველმა **ა. ა. პროხოროვამ,** უმცროსმა მეთაურმა **ა. მ. ილიუკამ,** ექიმმა - ქირურგმა **მ. დ. ჟურავლიოვმა, პ. ხ. პროკონენმა** და სტალინური ბლოკის სხვა კანდიდატებმა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობაზე კენჭი იყარეს საბჭოთა კავშირის ორგზის გმირმა **ი. დ. პაპანინმა,** კა**რელ-ფინელი** ხალხის ერთგულმა შვილმა ტუურე ივანეს-ძე **ლეხენმა** და აკადემიკოსმა **ბ. ე. ვედენეევმა.**

23 საათისათვის ქალაქის ყველა საარჩევნო უბანში ხმა მისცა ამომრჩეველთა 99,8 პროცენტმა.

სოციალისტური სამშობლოსადმი ერთგულების დემონსტრაცია

კიაკისალმი (კექსჰოლმი), 16 ივნისი (საკდესი). დილიდანვე საბჭოთა კექსჰოლმის მშრომელნი კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკის მთელს ხალხთან ერთად ცხადჰყოფენ თავიანთ უსაზღვრო სიყვარულს სოციალისტური სამშობლოსადმი, ლენინ-სტალინის პარტიისადმი. ყველა საარჩევნო უბანში ამომრჩევლები სიხარულით აძლევენ ხმას ხალხის საუკეთესო შვილებს, კომუნისტთა და უპარტიოთა ურღვევი სტალინური ბლოკის კანდიდატებს. განსაკუთრებით დიდია აღფრთოვანება კიაკისალმის № 114 საქალაქო საარჩევნო ოლქის უბნებში, სადაც კარელია-ფინეთის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კენჭს იყრის საბჭოთა მთავრობის მეთაური, ამხანაგ **სტალინის** უახლოესი თანამებრძოლი—**ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვი.** აქ უკვე შუადღისთვის ხმა მისცა ამომრჩეველთა 70 პროცენტზე მეტმა.

ხმას აძლევენ რა ამხანაგ მოლოტოვს, ამომრჩეველნი აცხადებენ, რომ ისინი მზად არიან ყოველთვის და ყველგან იმუშაონ საბჭოთა კავშირის თავისუფალ ხალხთა დიადი მეგობრობის განმტკიცებისათვის.

— სიტყვა არ მყოფნის, რომ გამოვთქვა უდიდესი სიხარული, რომელიც განვიცადე, როცა მივედი საარჩევნო უბანში, რათა ხმა მიმეცა საბჭოთა მთავრობის მეთაურის ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვისათვის, — განაცხადა სულფატცელულოზის ქარხნის სტახანოველმა ამხ. სემიონოვმა. — მთელს კარელ-ფინელ ხალხთან ერთად მე დაუღალავად ვიმუშავებ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების დიად კავშირში შემავალი მეთორმეტე მოკავშირე რესპუბლიკის აყვავებისათვის.

სტახანოველ სემიონოვის სიტყვები არის ყველა ამომრჩევლის სიტყვები, რასაც ისინი საქმით ადასტურებენ. საყოველთაო - სახალხო ზეიმის წინა დღეს ქალაქის საწარმოთა სტახანოველებმა მრავალ შესანიშნავ საწარმოო წარმატებას მიაღწიეს. მათ აამუშავეს მეორე ელექტროსადგური, ჩაატარეს სამჩარხოიანი ხე-ტყის სახერხი ქარხნის საცდელი ამუშავება. დღეს ქალაქმა მიიღო დენი რაუხიალის ჰიდროსადგურის ახალი ხაზით.

კარელია-ფინეთის სსრ საყოველთაო-სახალხო დღესასწაული

პრიაჟა, 16 ივნისი (საკდესი). ამომრჩევლები, პრიაჟის № 45 ოლქისა, სადაც კენჭს იყრის დიდი **სტალინის** თანამებრძოლი ამხ. **ნ. ს. ხრუშჩოვი,** მოუთმენლად ელოდნენ არჩევნების დღეს. დილაადრიან სოფელ პრიაჟის პირველ საარჩევნო უბნისაკენ გაემართნენ ხუთი კოლმეურნეობის წევრები თავიანთი ავტომანქანებით, ბრიჩკებით, რომლებიც მორთული იყო ლოზუნგებითა და ბაირაღებით.

საარჩევნო უბანში ორგანიზებულად მოვიდნენ მოწინავე სასოფლო-სამეურნეო არტელის „კრასნი პახარის" კოლმეურნეები. ისინი, ვინც უკვე ხმა მისცა, ჩქარობენ გაუზიარონ თავიანთი შთაბეჭდილებანი თანასოფლელებს.

კოლმეურნე სოროკინა ამბობს:

— მე სიხარულით შევეცი ხმა სტალინის ერთგულ თანამებრძოლს ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს.

სიხარულით აღელვებულნი უშვებენ კოლმეურნე ქალები და მამაკაცები თავიანთ ბიულეტენებს საარჩევნო ყუთებში.

13 საათისათვის ოლქში, სადაც კენჭს იყრის ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი, ხმა მისცა ამომრჩეველთა უმრავლესობამ.

უკანასკნელი ცნობები

პეტენის განცხადება

ლონდონი, 17 ივნისი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს ცნობით, საფრანგეთის პრემიერ - მინისტრმა პეტენმა რადიოთი წარმოთქმულ სიტყვაში განაცხადა: „ბრძოლის შეწყვეტა აუცილებელიაო".

ლონდონი, 17 ივნისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება: „საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა პეტენმა რადიოთი წარმოთქმულ სიტყვაში განაცხადა: „ბრძოლის შეწყვეტა აუცილებელია", პეტენმა დასძინა: წუხელ მოლაპარაკება დავიწყე მოწინააღმდეგესთან იმისათვის, რომ გავიგო, შეიძლება თუ არა შეთანხმების მიღწევაო.

პეტენმა ეს განცხადება გააკეთა ფრანგი ხალხისადმი მიმართულ რადიოთი წარმოთქმულ სიტყვაში. „სააგენტო აღნიშნავს, რომ პეტენი „ქებას ასხამდა საფრანგეთის არმიას, რომელიც ისეთ მოწინააღმდეგეს ებრძვის, რომელიც მას სჭარბობს რიცხვობრივად და საჭურველით".

გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის ბანაკის ცნობა

ბერლინი, 17 ივნისი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო აქვეყნებს გერმანიის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის ბანაკის შემდეგს ცნობას: „საფრანგეთის ახლადშექმნილი მთავრობის პრემიერ - მინისტრმა მარშალმა პეტენმა რადიოთი სიტყვით მიმართა ფრანგ ხალხს, სადაც განაცხადა, რომ ახლა საფრანგეთი იძულებულია იარაღი დაჰყაროს. ამასთან მან აღნიშნა: ჩემ მიერ მიღებულია ზომები, რათა გერმანიის მთავრობას ეცნობოს ეს გადაწყვეტილება და გავიგოთ ის პირობები, რომლებითაც გერმანიის მთავრობა მზად არის მიიღოს საფრანგეთის წინადადება. ჰიტლერი შეხვდება მუსოლინის, რათა შეუთანხმდეს მას გერმანიისა და იტალიის პოზიციის შესახებ".

ომი დასავლეთ ევროპაში

ინგლისის ცნობები

ლონდონი, 17 ივნისი. რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ გუშინ საღამოს ფრონტებზე შემდეგი მდგომარეობა იყო: ნორმანდიაში გერმანიის ჯარმა, როგორც ჩანს, დასავლეთისაკენ წინსვლა შესწყვიტა და ევრესა და შარტრს შორის მდებარე ხაზზე გამაგრდა. „გერმანიის ჯარის შეჭრის შემდეგ შამპანის რაიონში მდგომარეობა უფრო სერიოზული გახდა. გერმანელებმა აქ თავი მოუყარეს დიდ ძალებს და საფრანგეთის პოზიციები გაარღვიეს შატო-ტიერისა და რეიმსის სექტორში. მტრის მეწინავე ნაწილებმა წინ წაიწიეს სხვადასხვა მიმართულებით მდინარე იონის, სონისა და ობისაკენ. მტრის ზოგიერთმა რაზმმა სანსისა და ტრუას რაიონს მიაღწია. ბრძოლა სწარმოებს აგრეთვე შომონის რაიონში, სადაც მტრის ჯარმა წაიწია პორტ დატელიემდე და შემდეგ ჩრდილოეთით ვერდენის აღმოსავლეთით მდებარე რაიონისაკენ. გერმანიის უმაღლესმა სარდლობამ დასავლეთის ფრონტზე გამოიყვანა 150 დივიზია.

ამჟამად გერმანელების მთავარი ღონისძიება იქითკენ არის მიმართული, რომ ფლანგიდან შემოუარონ მაჟინოს ხაზს იმ უბანზე, სადაც საფრანგეთის გარნიზონის ერთმა ნაწილმა უკან დაიხია. მდგომარეობა მეტისმეტად სერიოზულია.

საფრანგეთის ცნობები

ლონდონი, 17 ივნისი. როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, გუშინ საღამოს საფრანგეთის სამხედრო სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ფრონტებზე საერთო მდგომარეობა ფრიად სერიოზულია. გერმანელების ყველაზე ძლიერი მიძალება შემჩნეულია შამპანში და შატოტიერის მახლობლად.

ლონდონი, 17 ივნისი. რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს საფრანგეთის სარდლობის მიერ გუშინ საღამოს გამოქვეყნებულ შემდეგ კომუნიკეს: „პარიზის დასავლეთით, ლა ფერტესა და ლენიეს რაიონში, მტრის შეტევა შეჩერებულია, და საფრანგეთის ჯარმა კონტრშეტევა დაიწყო. პარიზის სამხრეთ-აღმოსავლეთით მტერი განაგრძობდა წინსვლას და გადალახა მდინარე სენა მელენისა და ფონტენბლოს პუნქტებში. გერმანიის ჯარის მეწინავე ნაწილებმა ოსერი გაიარეს და კლამსისა და ავალონის მიმართულებით უტევენ. ლანგრის ზეგანის სამხრეთით მტრის ჯავშანსატანკო და მოტორიზებულმა კოლონებმა მიაღწიეს დიჟონის ჩრდილოეთით მდებარე რაიონს და მდინარე სონას, გრეს მახლობლად. გერმანიის ზოგიერთმა რაზმმა მდინარე გადალახა ლორენისა და ელზასის რაიონში. საფრანგეთის ჯარმა უკან დაიხია უმაღლესი სარდლობის ბრძანების შესაბამისად".

გერმანიის სარდლობის ცნობა

ბერლინი, 17 ივნისი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო აქვეყნებს გერმანიის შეიარაღებული ძალების უმაღლეს მთავარსარდლის ბანაკის შემდეგს ცნობას: „საფრანგეთის არმიის ნაწილები, რომლებსაც ჩვენი ჯარი სდევნის, უკან იხევენ სამხრეთისა და სამხრეთ-დასავლეთისაკენ. იმ რაიონებში, სადაც ჯერ კიდევ ორგანიზებულ წინააღმდეგობას გვიწევდა მტერი, იგი უკუქცეულ იქნა ისე, რომ მძიმე ზარალი ნახა. ერთმა რაზმმა ორლეანი დაიკავა და ლუარა გადალახა ორლეანის მახლობლად. ბურგუნდიასა და ლანგრის რაიონში მოქმედმა გერმანიის ჯარის ნაწილებმა მნიშვნელოვანი ტერიტორია დაიკავეს სამხრეთის მიმართულებით. აქ აღებულია ორი აეროდრომი და გასაფრენად გამზადებული ყუმბარებით დატვირთული 39 თვითმფრინავი. ბეზანსონის სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენმა ჯარმა შვეიცარიის საზღვარს მიაღწია და ამრიგად რკალი შეჰკრა საფრანგეთის იმ ჯარის ირგვლივ, რომელიც ელზასიდან და ლორენიდან უკან იხევს. ჩრდილოეთ ლორენში ჩვენი ჯარი ქალაქ სენტ-მიელს უახლოვდება ჩრდილო-დასავლეთიდან. ჩვენმა დივიზიებმა საარბრიუკენის სამხრეთით მაჟინოს ხაზის გარღვევა გამოიყენეს და, მიუხედავად მტრის მედგარი წინააღმდეგობისა, რაინ-მარნის არხისაკენ უტევენ. შატო-სალენი, დიეზი და საარბურგი აღებულია გერმანიის ჯარის მიერ. ელზასში მოპიკირე ყუმბარმშენები და აგრეთვე საზენიტო არტილერია აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ სახმელეთო ჯარის მოქმედებაში.

მტერს ჰაერში 8 თვითმფრინავი დაეკარგა. გერმანიის 3 თვითმფრინავი ბაზაში არ დაბრუნებულა.

გერმანიის წყალქვეშა ფლოტმა ამ უკანასკნელი დღეების განმავლობაში ჩასძირა მტრის ფლოტი 100.000 ტონაზე მეტი წყალწყვისა. ჩაძირულია ინგლისის ხომალდი „ველინგტონსტარი" 11.400 სარეგისტრო ბრუტო-ტონა წყალწყვისა. ერთმა წყალქვეშა ნავმა მოსპო მტრის გემები 53.000 სარეგისტრო ბრუტო-ტონა წყალწყვისა. მეორე წყალქვეშა ნავმა მორეი ფერტში ჩასძირა ინგლისის დამხმარე კრეისერი დაახლოებით 9 ათასი სარეგისტრო ბრუტო-ტონა წყალწყვისა".

გერმანიის ჯარმა ბეზანსონს მიაღწია

ბერლინი, 17 ივნისი. გერმანიის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის ბანაკის ცნობაში ნათქვამია: „ჩვენმა დამკვრელმა ნაწილებმა დღეს მიაღწიეს შვეიცარიის საზღვარს პონტარლიეს რაიონში, ბეზანსონის სამხრეთ-აღმოსავლეთით. ამგვარად ელზასა და ლორენში მტრის ჯარის ირგვლივ რკალი შეიკრა". (საკდესი).

ნიუ-იორკი, 17 ივნისი (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო ფაიდან (საფრანგეთ-შვეიცარიის საზღვარზე) იუწყება, ბეზანსონიდან შვეიცარიაში ჩასული ლტოლვილები იუწყებიან, რომ გერმანიის მოტორიზებულმა ნაწილებმა ბეზანსონს მიაღწიეს.

იტალიის სარდლობის ცნობა

რომი, 17 ივნისი (საკდესი). სტეფანის სააგენტო აქვეყნებს იტალიის არმიის უმაღლესი სარდლობის ცნობას, რომელიც გამოქვეყნებულია რომში 17 ივნისს. ამ ცნობაში ნათქვამია:

„ჩვენმა ავიაციამ გუშინ ყუმბარები დაუშინა მალტის, კორსიკისა და ტუნისის საზღვაო ბაზებსა და აეროდრომებს. საჰაერო ბრძოლაში ჩამოგდებულ იქნა ინგლისის ერთი ავიაგამანადგურებელი. მტრის ავიაცია დასჯერდა რამდენიმე საჰაერო თავდასხმას, რასაც თითქმის ყოველთვის ცალკეული თვითმფრინავები აწარმოებდნენ. ისინი, უმთავრესად ღამით, ყუმბარებს ჰყრიდნენ ქალაქებსა და სოფლებში. სავონში სამოქალაქო მოსახლეობაში მოკლულია ერთი კაცი და დაჭრილია რამდენიმე. კალიარში (სარდინია) მტრის საჰაერო თავდასხმის შედეგად დაზიანებულია აეროდრომის ანგარები და ამასთანავე მოკლულია 6 ჯარისკაცი და დაჭრილია დაახლოებით 30 ჯარისკაცი. ჩვენმა ავიაგამანადგურებლებმა გააქციეს მტრის ავიაციის შენაერთები, რომლებიც თავს ესხმოდნენ პალერმოს.

აღმოსავლეთ აფრიკაში ჩვენმა ავიაციამ ყუმბარა დაუშინა სუდანისა და კენიის სამხედრო ობიექტებს, მოსპობილია რამდენიმე თვითმფრინავი და დაზიანებულია ბევრი საჭურველი".

იტალიის ომი ინგლის-საფრანგეთის ბლოკთან

ლონდონი, 17 ივნისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო შემდეგს ცნობას აქვეყნებს: „15 ივნისის განმავლობაში მტერი რამდენჯერმე უშედეგოდ თავს დაესხა მალტის კუნძულს. მტრის ერთი თვითმფრინავი დაზიანებულია.

12 ივნისს ადენზე იტალიის თვითმფრინავების თავდასხმის დროს მტრის ერთი ყუმბარმშენი იძულებული გახდა საფრანგეთის სომალის ტერიტორიაზე დაშვებულიყო. დატყვევებულია თვითმფრინავის ეკიპაჟი 5 კაცის შემადგენლობით. მტრის 1 თვითმფრინავი ძლიერ დაზიანდა კენიის ტერიტორიაზე უშედეგო გაფრენის დროს".

მეორე კომუნიკეში სამხედრო საზღვაო მოქმედების შესახებ ნათქვამია: „იტალიელების მიერ ჩაძირული ტანკერი, რომელიც წინათ დანიისად მიაჩნდათ, ნორვეგიისა აღმოჩნდა. ტანკერი ტორპედირებულ იქნა გაფრთხილების მიუცემლად.

ჩვენმა ძალებმა მთელი რიგი თავდასხმა მოახდინეს მტრის წყალქვეშა ნავებზე ხმელთაშუა ზღვაში".

ლონდონი, 17 ივნისი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო მალტიდან იუწყება, გუშინ დილას იქ საჰაერო განგაში გამოცხადდა. განუწყვეტლივ ისმოდა ძლიერი სროლა. 11 ივნისიდან ეს მე-25 თავდასხმაა მალტაზე. ლა-ვალეტაზე გუშინდელი თავდასხმის დროს ჩამოგდებულ იქნა 5 ყუმბარა. სამოქალაქო მოსახლეობიდან მოკლულია ერთი კაცი, სერიოზულად დაჭრილია 3 კაცი და მსუბუქად— 5 კაცი.

საკდესის ცნობა

საბჭოთა კავშირ-ლატვიისა და საბჭოთა კავშირ-ესტონეთის ურთიერთობის შესახებ

16 ივნისს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. მოლოტოვმა მთავრობის სახელით ლატვიის დესპანს ბ-ნ კოცინშს მიმართა შემდეგი წარდგინებით ლატვიის მთავრობისათვის გადასაცემად:

„საბჭოთა მთავრობის განკარგულებაში არსებული ფაქტიური მასალის საფუძველზე, აგრეთვე აზრთა იმ ურთიერთგაზიარების საფუძველზე, რაც ამ ბოლო დროს სწარმოებდა მოსკოვში სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს ვ. მ. მოლოტოვსა და ლიტვის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ბ-ნ მერკისს შორის, საბჭოთა მთავრობას გამორკვეულად მიაჩნია, რომ ლატვიის მთავრობამ არა თუ არ მოახდინა ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირ-ლატვიის ურთიერთდახმარების პაქტის დადებამდე ესტონეთთან შექმნილი იმ სამხედრო კავშირის ლიკვიდაცია, რაც მიმართულია სსრ კავშირის წინააღმდეგ, არამედ გააფართოვა კიდეც იგი, ჩააბა რა ამ კავშირში ლიტვა, და ცდილობს აგრეთვე ჩააბას მასში ფინეთი.

1939 წლის შემოდგომაზე საბჭოთა კავშირ-ლატვიის ურთიერთდახმარების პაქტის ხელმოწერამდე საბჭოთა მთავრობას ჯერ კიდევ შეეძლო აენუნში არ ჩაეგდო ასეთი სამხედრო კავშირის არსებობა, თუმცა იგი არსებითად ეწინააღმდეგებოდა წინათ დადებულ საბჭოთა კავშირ-ლატვიის თავდაუსხმელობის პაქტს. მაგრამ საბჭოთა კავშირ-ლატვიის ურთიერთდახმარების პაქტის დადების შემდეგ, ლატვიას, ესტონეთსა და ლიტვას შორის სსრ კავშირის წინააღმდეგ მიმართული სამხედრო კავშირის არსებობა საბჭოთა მთავრობას მიაჩნია არა მარტო დაუშვებლად და შეუწყნარებლად, არამედ აგრეთვე მეტად საშიშრად, რაც იმუქრება სსრ კავშირის საზღვრების უშიშროებას.

საბჭოთა მთავრობას იმედი ჰქონდა, რომ საბჭოთა კავშირ-ლატვიის ურთიერთდახმარების პაქტის დადების შემდეგ ლატვია გამოვიდოდა სხვა ბალტიისპირა სახელმწიფოებთან დადებული სამხედრო კავშირიდან და ამგვარად ლიკვიდირებულ იქნებოდა ეს სამხედრო კავშირი. ამის ნაცვლად ლატვია სხვა ბალტიისპირა სახელმწიფოებთან ერთად შეუდგა ზემოხსენებული სამხედრო კავშირის გამოცოცხლებასა და გაფართოებას, რასაც მოწმობს ისეთი ფაქტები, როგორიცაა: სამი ბალტიისპირა ქვეყნის ორი საიდუმლო კონფერენციის მოწვევა 1939 წლის დეკემბერში და 1940 წლის მარტში ესტონეთთან და ლიტვასთან გაფართოებული სამხედრო კავშირის გაფორმებისათვის. ლატვიის, ესტონეთისა და ლიტვის გენერალურ შტაბთა კავშირურთიერთობის გაძლიერება, რაც სსრ კავშირისაგან ფარულად ხორციელდებოდა; 1940 წლის თებერვალში ბალტიის სამხედრო ანტანტის სპეციალური ბეჭდვითი ორგანოს „რევიუ ბალტიკის" შექმნა, რომელიც გამოდის ინგლისურ, ფრანგულ და გერმანულ ენაზე ქ. ტალინში და სხვ.

ყველა ეს ფაქტი მოწმობს, რომ ლატვიის მთავრობამ უხეშად დაარღვია საბჭოთა კავშირ-ლატვიის ურთიერთდახმარების პაქტი, რომელიც ორივე მხარეს უკრძალავს „რაიმე კავშირის დადებას ან მონაწილეობას კოალიციებში, რომლებიც მიმართული იქნება ხელშეკრულების დამდები ერთერთი მხარის წინააღმდეგ" (ხელშეკრულების IV მუხლი).

და საბჭოთა კავშირ-ლატვიის ურთიერთდახმარების პაქტის ეს უხეში დარღვევა ლატვიის მთავრობის მხრივ ხდება იმ დროს, როცა საბჭოთა კავშირი განსაკუთრებით კეთილსასურველ და გარკვევით პროლატვიურ პოლიტიკას ეწეოდა და ეწევა, ზედმიწევნით ასრულებს რა საბჭოთა კავშირ-ლატვიის ურთიერთდახმარების პაქტის ყველა მოთხოვნას.

საბჭოთა მთავრობას მიაჩნია, რომ შემდეგში ასეთი მდგომარეობის მოთმენა შეუძლებელია.

სსრ კავშირის მთავრობას სავსებით აუცილებლად და გადაუდებლად მიაჩნია:

1. რათა ლატვიაში დაუყოვნებლივ შესდგეს ისეთი მთავრობა, რომელსაც ექნება უნარი და მზად იქნება უზრუნველჰყოს საბჭოთა კავშირ-ლატვიის ურთიერთდახმარების პაქტის პატიოსნად განხორციელება;
2. რათა დაუყოვნებლივ უზრუნველყოფილ იქნას საბჭოთა ჯარის ნაწილების თავისუფლად გატარება ლატვიის ტერიტორიაზე ლატვიის უმნიშვნელოვანეს ცენტრებში განსალაგებლად, ისეთი რაოდენობით, რაც საკმაოა იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას საბჭოთა კავშირ-ლატვიის თავდაუსხმელობის პაქტის განხორციელების შესაძლებლობა და თავიდან აცილებულ იქნას შესაძლო პროვოკაციული მოქმედება საბჭოთა გარნიზონის წინააღმდეგ ლატვიაში.

საბჭოთა მთავრობას ამ მოთხოვნების შესრულება მიაჩნია იმ ელემენტარულ პირობად, ურომლისოდაც შეუძლებელია იმის მიღწევა, რომ საბჭოთა კავშირ-ლატვიის ურთიერთდახმარების პაქტი პატიოსნად და კეთილსინდისიერად სრულდებოდეს".

გუშინვე ბ-ნმა კოცინშმა გადასცა პასუხი, რომ ლატვიის მთავრობა თანახმაა საბჭოთა მთავრობის პირობებზე.

*

16 ივნისს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. მოლოტოვმა ესტონეთის დესპანს ბ-ნ რეის **ესტონეთის** მთავრობისათვის გადასაცემად მიმართა იმგვარივე წარდგინებით, როგორიც ლატვიის მთავრობას გადაეცა.

გუშინვე ბ-ნმა რეიმ გადასცა პასუხი, რომ ესტონეთის მთავრობა თანახმაა საბჭოთა მთავრობის პირობებზე.

სმეტონა საზღვარგარეთ გაიქცა

გერმანიის მოსკოვის საელჩოს ცნობით, რომელიც საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს გადაეცა, ლიტვის ყოფილი პრეზიდენტი სმეტონა და ლიტვის მთავრობის ზოგიერთი წევრი 15 ივნისს, ღამით, გადავიდნენ „მწვანე საზღვარს" (ე. ი. არაოფიციალურად) გერმანიის ტერიტორიაზე, ამასთან სმეტონა და ლიტვის მთავრობის ზოგიერთი პირი ინტერნირებული იქნენ გერმანიის ხელისუფალთა მიერ. (საკდესი).

ლიტვის მთავრობის შემადგენლობა

კაუნასი, 17 ივნისი (საკდესი). ლიტვის მთავრობა შედგენილია შემდეგი შემადგენლობით: პრემიერ-მინისტრი პალეცკისი, ვიცე-პრემიერ-მინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრი და განათლების მინისტრის მოვალეობის აღმსრულებელი პროფესორი კრევე-მიცკევიჩიუსი, თავდაცვის მინისტრი და ლიტვის არმიის მთავარსარდალი გენერალი ვიტკაუსკასი, მიწათმოქმედების მინისტრი და შინაგან საქმეთა მინისტრის მოვალეობის დროებით აღმსრულებელი იცკასი, იუსტიციის მინისტრი პაკარკლისი, ფინანსთა მინისტრი და გზათა მინისტრის მოვალეობის დროებით აღმსრულებელი გალვანაუსკასი, ჯანმრთელობის დაცვის (სამინისტრო ახლად ეწყობა) მინისტრი დოქტორი კოგანი.

წითელი არმიის ნაწილები ლიტვაში ჩავიდნენ

კაუნასი, 16 ივნისი (საკდესი). დაუვიწყარი შთაბეჭდილება დასტოვა გუშინდელმა და დღევანდელმა დღემ. სადღესასწაულოდ მორთული აუარებელი ხალხით აივსო კაუნასის ქუჩები. მხიარული სახეები, ღიმილი, მილოცვა მკაფიოდ გამოხატავს ლიტველი ხალხის განწყობილებას, მის დამოკიდებულებას საბჭოთა კავშირისადმი. გუშინ 17 საათიდან და 45 წუთიდან ნაშუაღამევამდე ქუჩებში აუარებელი ხალხი იყო. ხალხი აღფრთოვანებით, ტაშის გრიალით და „ვალეს" და „ურას" ძახილით მიესალმებოდა ქალაქში შესულ საბჭოთა ჯარს. საბჭოთა მებრძოლებსა და მეთაურებს ყვავილებს უძღვნიდნენ. ტანკისტები, მოტორიზებული ქვეითი ჯარი სამშობლოს შესახებ სიმღერებით შევიდნენ კაუნასში. ამან აღმაფრთოვანებელი გრძნობა გამოიწვია ხალხში. ქვეითს ჯარს კვლავ ტანკები მოჰყვებოდნენ. მთელ ღამეს ხალხი ქუჩებში ირეოდა, მიესალმებოდა წითელი არმიის ნაწილებს, ერთმანეთს უზიარებდნენ ისტორიული დღის დაუვიწყარ შთაბეჭდილებას. „ერთი გრძნობით გაიმსჭვალა ყველა, —სწერს დღეს გაზეთი „ფოლკსბლატი",—ლიტვის დამოუკიდებლობა და საბჭოთა კავშირ-ლიტვის ურთიერთდახმარების პაქტის განხორციელება უზრუნველყოფილია. მაშინ როდესაც მეორე იმპერიალისტური ომი თავისი ორბიტით სულ ახალ-ახალ ქვეყნებსა და ხალხებს მოიცავს, ჩვენი ქვეყანა რჩება მშვიდობიანი და წყნარი, ჩვენი ქვეყანა, რომლის დამოუკიდებლობაც ასე უზრუნველყოფილი არასოდეს არ ყოფილა".

ლიტვის პლუტოკრატიასა და მის ხელმძღვანელ ხროვაზე ლიტვაში წითელი არმიის ნაწილების შესვლამ სულ სხვა შთაბეჭდილება მოახდინა, ვიდრე მოსახლეობის ფართო მასებზე. ბურჟუაზიულ ფენებში დაბნეულობა და პანიკა სუფევს. ზოგი გარბის, ზოგი გასაქცევად ემზადება. პირველი გაიქცა ლიტვის პრეზიდენტი ანტანას სმეტონა. მისი გაქცევის ამბავი ლიტვის ყველა კუთხეს მოედო. სმეტონასათვის მუდამ უცხო იყო ლიტვის ხალხის ინტერესები. იგი მილიონობით თანხებს აძლევდა მემამულეებს, მამულითა და ტყეებით აჯილდოებდა თავის დაახლოებულ პირთ. მან მილიონობით თანხები გაიტანა საზღვარგარეთ, შეიძინა კოშკი საფრანგეთში, ქალაქ ბორდოს ახლოს. სმეტონას ფორთოხლის პლანტაცია აქვს პალესტინაში და ყავისა—ბრაზილიაში. სმეტონა მხოლოდ თავისი პირადი კეთილდღეობისათვის ზრუნავდა. თავის თანამებრძოლთა — სკუჩასის, პოველაიტისისა და სხვათა დახმარებით იგი ასობით და ათასობით პატიოსან ადამიანს საპყრობილესა და საკონცენტრაციო ბანაკებში ჰყრიდა. მისი ხროვა პროვოკაციულ ხმებს სთხზავდა საბჭოთა კავშირისა და მისი არმიის შესახებ.

ახლა, როდესაც ლიტველმა ხალხმა საკუთარი თვალით დაინახა წითელი არმია და მისი სიმძლავრე, როდესაც უხეირო მმართველთა პროვოკაციულ და ბნელ მაქინაციებს ბოლო მოეღო, თავლაფდასხმული სმეტონა და მისი ხროვა საზღვარგარეთ გაიქცა.

საკდესის ცნობა

ინგლისური გაზეთი „დეილი მეილი" იუწყება, რომ „სსრ კავშირის ხელმძღვანელობით ახალ ზომებს იღებენ რუმინეთისა, იუგოსლავიისა და თურქეთს შორის უფრო ძლიერი ანტიაგრესიული პაქტის დასადებად, ამასთან პაქტის მიზანია წინააღმდეგობა გაუწიოს გერმანიისა და იტალიის ექსპანსიას აღმოსავლეთში".

საკდესს დავალებული აქვს განაცხადოს, რომ „დეილი მეილის" ეს ცნობა აბსოლუტურად არ შეესაბამება სინამდვილეს და თავიდან ბოლომდე მოგონილია.

ბიბლიოთეკა

გულმოდგინედ ვიმუშაოთ მარქსიზმ-ლენინიზმის დაუფლებაზე

თათბირი ამხანაგებისა, რომლებმაც დაამთავრეს „საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ შესწავლა

ამ დღეებში საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. ლენინის რაიკომისა და გაზეთ „კომუნისტის“ ინიციატივით ჩატარდა იმ ამხანაგების თათბირი, რომლებმაც დაამთავრეს „საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ შესწავლა. თათბირის მუშაობას საფუძვლად დაედო გაზეთ „პრავდის“ 1 ივნისის მოწინავე წერილი—„მიღწეულით არ დავკმაყოფილდეთ“.

თათბირის მუშაობას ხელმძღვანელობდა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. ლენინის რაიკომის მდივანი ამხ. მ. ჩუბინიძე. თათბირს, რომელსაც 250 კაცი დაესწრო, თავიანთი გამოცდილება გაუზიარეს შემდეგმა ამხანაგებმა: მ. კუჭავამ, ტიმოფეევმა, ა. სვანიძემ, ვ. გეტაშვილმა, თ. გაგნიძემ, ბირიუკოვმა, გაბელაიამ, ი. ბახტაძემ, ი. კუჭაშვილმა, პავლოვმა, ჩხიკვაძემ, ქსოვრელმა და ვ. ბირკაიამ. თათბირს მათ უამბეს, თუ როგორ შეისწავლეს „საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“ და რას ფიქრობენ მომავალში მარქსიზმ-ლენინიზმის ღრმად დაუფლებისათვის.

თათბირის მუშაობა შეაჯამა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის მდივანმა ამხ. მ. ჩუბინიძემ.

ქვემოთ ჩვენ ვაქვეყნებთ თათბირზე გამოსული ზოგიერთი ამხანაგის სიტყვებს.



კიროვის სახელობის მანქანათმშენებლობის ქარხნის ოსტატი ამხ. ი. ღამბაშიძე, რომელმაც დაამთავრა „საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ შესწავლა.
ფოტო ვ. გინზბურგისა

მარცხნიდან მარჯვნივ: თბილისის საორთქლმავლო დეპოს პარტბიუროს მდივანი ამხ. ი. გეტაშვილი, დეპოს უფროსის მოადგილე თ. გაგნიძე და სტახანოველი ზეინკალი გ. კოვალიოვი, რომლებმაც დაამთავრეს „საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ შესწავლა.
ფოტო ვ. გინზბურგისა

საჭიროა შეუნელებელი წინსვლა

...ღამით იწყება ჩვეულებრივი სადისპეტჩერო მოხსენება. კითხულობენ უფროსს.

— სად არის განყოფილების უფროსი?

— ისვენებს.

— ახლავე გამომიძახეთ.

შიკრიკი აფრინდა კინოთეატრისაკენ. კინოფილმის დემონსტრირების დროს შიკრიკი ხმამაღლა გაჰყვირის, რომ განყოფილების უფროსს რკინიგზის სამმართველოში იძახიან. ისიც განყოფილებაში წავიდა და განყოფილებიდან დარეკა სამმართველოში.

— მე თქვენ ხომ არ გჭირდებით?

— რატომ წახვედით განყოფილებიდან?

— აი, ორი წლის განმავლობაში პირველად წავედი კინოში... „დიდი მოქალაქე“ ვნახე.

— ასეთი რამის ჩადენა არ შეიძლება... იყავით განყოფილებაში.

— ყველაფერი ეს იყო?

— დიახ.

ეს ამბავი, რომელიც აქ გადმოგეცით, სხვაგან მოხდა, მაგრამ მე მასში ჩვენი ორგანიზაციის სახე დავინახე. ის, რაც მე გამიკეთებია ჩემი საერთო განათლების დონის ასამაღლებლად, ხშირად მიმდინარეობდა ჩუმად, ისე რომ არავის გაეგო. წინააღმდეგ შემთხვევაში სადგურის მუშაობას „დაღუპულად“ გამოაცხადებენ. რომ გაიგონ კინოში ან თეატრში წავედი, ან სახლში ვზივარ და ვმეცადინეობ, სწორედ მაშინ მოუნდებათ გამოძახება. მერე რისთვის? მხოლოდ იმისთვის, რომ გაიგონ... თუ სად ვარ. ჩვენი ხელმძღვანელი ამხანაგების მუშაობის ეს უვარგისი სტილი უნდა აღიკვეთოს, ხელმძღვანელმა უნდა იცოდეს, თვითეული მუშაკი როდის დასჭირდება და ისე გამოიძახოს.

საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის ახალი სახელმძღვანელოს გამოშვებამ და განსაკუთრებით კი მეცადინეობის ინდივიდუალური მეთოდის დანერგვამ მეტი საშუალება მომცა პარტიის ისტორიის შესწავლისათვის; და თუ უწინ ვკმაყოფილდებოდი რამდენიმე აბზაცის კონსპექტში ჩაწერით, ამჟამად ძირითადი სახელმძღვანელოს გარდა ვსარგებლობ დამხმარე მასალებით; პარტისტორიის თვითეული თავის ღრმად დამუშავების შემდეგ ვადგენ კონსპექტს; მე შევისწავლე ლენინის შრომები „სოციალ-დემოკრატების ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში“, „რანი არიან „ხალხის მეგობრები“ და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ“, „ნაროდნიკობის ეკონომიური შინაარსი და მისი კრიტიკა ბ-ნ სტრუვეს წიგნში“, შევისწავლე აგრეთვე „მანიფესტი კომუნისტური პარტიისა“; უმთავრესად კი ვხელმძღვანელობდი სტალინის „ლენინიზმის საკითხებით“, რომელმაც საშუალება მომცა უფრო გასაგები გამხდარიყო ჩემთვის პარტიის ისტორიის საკითხები. ფართოდ გამოვიყენე ამხ. ლ. პ. ბერიას ნაშრომი „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“ ამასთანავე ვსარგებლობდი შემდეგი ჟურნალებით: „ბოლშევიკი“, „პარტიული მშენებლობა“, „აგიტატორის თანამგზავრი“, „პროლეტარული რევოლუცია“ და სხვ. მხატვრული ლიტერატურით, რომელიც დიდ ეფექტს იძლევა ამა თუ იმ მოვლენის ღრმად დამახსოვრებისათვის, სამწუხაროდ ვერ ვსარგებლობ, რადგან ამისათვის დრო „არა მაქვს“, ისევე, როგორც სხვა ბევრს ჩემს მსგავსებს, ვინაიდან, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ჩვენთან დრო ჯერ კიდევ რაციონალურად არ არის გამოყენებული, ის ხშირად უმიზნოდ იფლანგება.

ი. ჩხიკვაძე.

თბილისის სატვირთო სადგურის უფროსის მოადგილე.

ჩემი გამოცდილებიდან

ხშირად გაიგონებთ ზოგიერთი ამხანაგისაგან საყვედურს იმის შესახებ, რომ ისინი „დატვირთული“ არიან და არ რჩებათ დრო შეისწავლონ „საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“. მე ვფიქრობ, რომ დროის უქონლობის მომიზეზება მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს. ამხანაგი, რომელმაც ბოლომდე შეიგნო პარტიის ისტორიის შესწავლის, საერთოდ მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლების მნიშვნელობა, ყოველთვის გამონახავს და ვალდებულია გამონახოს დრო მოწინავე მეცნიერების დაუფლებისათვის, — მარქს - ენგელს - ლენინ - სტალინის თეორიის დაუფლებისათვის.

მე მინდა შევჩერდე იმაზე, თუ როგორ ვმუშაობ წიგნზე დამოუკიდებლად. მე, როგორც ექიმს, საკმაო დიდი რაოდენობით მიხდება სპეციალური ლიტერატურის კითხვა, რომ არ ჩამოვრჩე თანამედროვე სამედიცინო მეცნიერებას, ამასთანავე ვასრულებ პარტიულ და საზოგადოებრივ დავალებებს. გარდა ამისა, ყოველ ხუთდღიურში ორი საღამო დათმობილი მაქვს პოლიტიკური ლიტერატურის შესწავლისათვის.

ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ისტორიის შესწავლა დავიწყე წრეში. პოლიტწრიდან საკმაო ცოდნა მივიღე. „საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ გამოშვებასთან დაკავშირებით პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ“ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების გამოსვლის შემდეგ დაიწყო ჩემი დამოუკიდებელი მუშაობა წიგნზე. პირველად დავიწყე „საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ შესწავლა, ვსწავლობდი თანმიმდევრობით ცალკეულ თავებს. შესწავლა მთლიანად დავამთავრე 1939 წლის ივნისში.

ამის შემდეგ დამებადა სურვილი წამეკითხა მხატვრული ლიტერატურა. მხატვრული ლიტერატურის წაკითხვის შემდეგ დავიწყე მეცადინეობა „საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ პირველწყაროების მიხედვით. უმთავრესად წავიკითხე მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის უკვდავი შრომებიდან სათანადო ადგილები, რამაც კიდევ უფრო აამაღლა ჩემი პოლიტიკური მომზადების დონე.

ბოლშევიზმის გმირული ბრძოლის დიადი ისტორიის ღრმად შესწავლა დიდ დახმარებას მიწევს ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმიანობაში.

მართალია, მე დავამთავრე „საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ შესწავლა, მაგრამ მარქსისტულ-ლენინური თეორიის ღრმად დაუფლებას ახლა ვიწყებ.

ექ. ივ. კუჭაშვილი.

აქტივის სწავლებას მეტი ყურადღება

იმისათვის, რომ კომუნისტს შეეძლოს ყოველდღიური ცხოვრების მიერ წამოყენებული ახალ-ახალი საკითხების სწორი ანალიზის გაკეთება, ის უნდა სწავლობდეს მარქსისტულ-ლენინურ თეორიას. ეს ჭეშმარიტება დღეს ყველასათვის ისე ნათელია, რომ დამტკიცებას არ საჭიროებს.

ეს ჭეშმარიტება კარგად აქვთ შეგნებული სტალინის სახელობის ორთქლმავალ - ვაგონ - სარემონტო ქარხნის კომუნისტებსაც. ქარხანაში სულ 900-მდე კომუნისტია, აქედან 650 კომუნისტი დამოუკიდებლად ეუფლება თეორიას. 74 კაცმა უკვე დაამთავრა „საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ შესწავლა. ამხანაგები, რომლებმაც კარგად შეისწავლეს „საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“ გაიზარდნენ პოლიტიკურად, ისინი ეწევიან აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას და უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ-სამეურნეო საკითხებს წარმატებით სწყვეტენ. წიგნზე ინდივიდუალურად მომუშავე ამხანაგებს სერიოზულ დახმარებას უწევს ჩვენს ქარხანასთან არსებული პარტიული კაბინეტი. პარტიულ კაბინეტში 1940 წლის განმავლობაში ჩატარდა 27 ლექცია და მოხსენება, რომელსაც მოუსმინა 5.200 კაცმა. ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ ჩვენი პარტიის ოქტომბრის შემდგომი პერიოდის შესწავლას; 27 ლექციიდან 10 ლექცია ჩატარებულია იმ თემებზე, რომლებიც შეეხება ჩვენი პარტიის ისტორიის ოქტომბრისშემდგომ პერიოდს.

ქარხნის პარტიული ორგანიზაცია საზოგადოებრივ აზრს ჰქმნის იმათ წინააღმდეგ, ვინც არ სწავლობს ბოლშევიზმის თეორიას. ხშირად ვატარებთ წიგნზე ინდივიდუალურად მომუშავე ამხანაგების თათბირებს, რაც საშუალებას გვაძლევს გავიგოთ, თუ ვის რაში სჭირდება დახმარება, ვის რა სიძნელეები ექმნება მეცადინეობის პროცესში და სხვ.

ქარხნის პარტიული კომიტეტი ხშირად იხილავს პარტიული პროპაგანდის საკითხებს, იმენს, თუ რა მდგომარეობაა ამ მხრივ საამქროებში და სხვ. პარტიულმა კომიტეტმა ამასწინათ განიხილა სამექანიკო საამქროში პარტიული პროპაგანდის მდგომარეობა. აქ პარტიული ბიურო არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობდა საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის შესწავლის მიმდინარეობას; ამხ. კაზიაშვილი, თადიაშვილი, მონასელიძე და სხვ. არ ეუფლებოდნენ მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიას, არ დადიოდნენ ლექციებსა და კონსულტაციებზე და სხვ. ეს საკითხი გახდა ქარხნის პარტკომის მსჯელობის საგანი. აქ დასახულ იქნა ღონისძიება სამექანიკო საამქროში პარტიული პროპაგანდის უკეთ დაყენების შესახებ.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ ჩვენი აქტივის, ხელმძღვანელი კადრების შეიარაღებას მარქსიზმ - ლენინიზმის თეორიით. არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავკმაყოფილდეთ „საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის“ ერთხელ წაკითხვით. ამით არ მთავრდება მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის შესწავლა, არამედ აქედან უნდა დაიწყოს დაუღალავი მუშაობა ბოლშევიზმის თეორიის ღრმად ათვისებისათვის.

აქტივმა რომ კარგად ისწავლოს თეორია, ამისათვის მას ჩვენ ხელი უნდა შევუწყოთ. კერძოდ ჩვენი ხელმძღვანელი კადრები უნდა გავათავისუფლოთ იმ თათბირებისაგან, რომლებზედაც სრულებით არ არის აუცილებელი ხელმძღვანელის დასწრება. და საერთოდ არ უნდა ჩავატაროთ ისეთი თათბირები, რომლებიც აუცილებლობით არ არიან გამოწვეული. გარდა ამისა, მე მინდა დავაყენო საკითხი იმის შესახებ, რომ გადმოღებულ იქნას მოსკოვის მოწინავე პარტიული ორგანიზაციების გამოცდილება და აქტივისათვის ხშირად ტარდებოდეს პოპულარული ლექციები მეცნიერების სხვა დარგებიდანაც, რომელთა შესწავლა დაკავშირებულია მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის ღრმად ათვისებასთან. ეს საშუალებას მოგვცემს გავაფართოოთ ჩვენი ხელმძღვანელი ამხანაგების პოლიტიკური ჰორიზონტი.

მ. კუჭავა.

თბილისის სტალინის სახ. ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის პარტკომის მდივანი.

როგორ ვადგენ კონსპექტს

მე უკვე დავამთავრე „საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ შესწავლა. თვითეული თავის მიხედვით შედგენილი მაქვს კონსპექტი. კონსპექტს ვადგენ აგრეთვე დამატებით ლიტერატურიდან წაკითხულ შრომებზე.

ვიდრე კონსპექტს შევადგენდე, წინასწარ გავიაზრებ ხოლმე წაკითხულს და ჩემთვის ვაკეთებ დასკვნებს, რასაც შემდეგში ვიწერ კონსპექტში, აგრეთვე ვიწერ აუცილებელ ციტატებს, ციფრებსა და ფაქტებს.

მართალია, დავამთავრე საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის შესწავლა, მაგრამ ვგრძნობ, რომ ჯერ კიდევ ბევრი უნდა ვიმუშაო ჩემს თავზე. მე ვფიქრობ, ჩვენ ყველანი ღრმად უნდა ჩავუკვირდეთ ჩვენი პარტიის ცენტრალური ორგანოს „პრავდის“ ამა წლის 1-ლი ივნისის მოწინავეს სათაურით „არ დავკმაყოფილდეთ მიღწეულით“. კიდევ უფრო ღრმად უნდა შევისწავლოთ მარქსისტულ-ლენინური თეორია.

მე წავიკითხე ლენინის შრომები „რა ვაკეთოთ?“, „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან“, „სახელმწიფო და რევოლუცია“, სტალინის „ლენინიზმის საფუძვლები“, მარქსის ბიოგრაფია და სხვ. გაზეთში დაბეჭდილ კონსულტაციებსა და თეორიულ სტატიებს ამოვჭრი და ცალკე ვინახავ. თეორიის დაუფლებაში დიდად დამეხმარა სსრ კავშირის ხალხთა ისტორიის გაცნობა და გეოგრაფიის შესწავლა.

პ. ტიმოფეევი

სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონ-სარემონტო ქარხნის ხარატი.

თბილისი. თათბირი საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. ლენინის რაიკომში იმ ამხანაგებისა, რომელთაც დაამთავრეს „საქ. კ პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ შესწავლა.
ფოტო რ. აკოფოვისა.

მომზადებულად ჩავატაროთ თეორიული კონფერენციები

„საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“ აჯამებს ჩვენი დიადი პარტიის მიერ განვლილ ისტორიულ გზას, გვიჩვენებს, თუ როგორი სიმტკიცით და შეუდრეკელობით გამოატარეს ლენინმა და სტალინმა მუშათა კლასის განთავისუფლების წითელი დროშა სამი რევოლუციის მანძილზე, თუ რა სახელოვნად დააგვირგვინა დიდმა სტალინმა ლენინური დროშით სოციალიზმის გამარჯვება დედამიწის ერთ მეექვსედზე.

ამავე დროს ეს შესანიშნავი ნაშრომი აჯამებს იმ იდეურ და თეორიულ ბრძოლას, რომელსაც პარტია ლენინისა და სტალინის მეთაურობით აწარმოებდა. წიგნი აჩვენებს თუ როგორ ვითარდებოდა მარქსიზმის მოღალატეებთან ბრძოლაში მარქსისტული აზრი, ლენინურ-სტალინური ეტაპი მარქსისტულ ფილოსოფიაში.

იმისათვის, რომ გახდე ბოლშევიკური პარტიის ისტორიის ნამდვილი მცოდნე, რა თქმა უნდა, საკმარისი არ არის „საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ ერთხელ წაკითხვა და დაკონსპექტება. საჭიროა გულისხმიერად სწავლობდე მარქსიზმის ფუძემდებლების შრომებს, გადაიკითხო ისინი მრავალჯერ, მუდმივად უბრუნდებოდე და იხილავდე მათ ახალი ისტორიული გამოცდილების სინათლეზე.

„საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ შესწავლა დავიწყე 1939 წლის ივნისიდან, ღლიდან სამთვიან სამხედრო შეკრებაზე გაწვევისა. ჩემმა პროპაგანდისტულმა მუშაობამ, დიდმა მონდომებამ და სწავლისათვის საჭირო პირობებით უზრუნველყოფამ შესაძლებლობა მომცეს სერიოზულად მოვკიდა ხელი მარქსისტულ - ლენინური თეორიის შესწავლისათვის. წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობაში სერიოზული დახმარება გამიწია „საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ ცალკე თავების მიხედვით ლექციების და კონსულტაციების მთელი ციკლის მოსმენამ, რომელიც სისტემატიურად ტარდებოდა სამხედრო ნაწილში.

პარტიის ისტორიის კიდევ უფრო ღრმად შესწავლის მიზნით პარალელურად ვსარგებლობდი დამხმარე ლიტერატურით მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ნაშრომებიდან.

ამჟამად ვმუშაობ ი. სტალინის გენიალური შრომის „ლენინიზმის საკითხების“ ღრმად შესწავლაზე. თვითეული კომუნისტის ყოველდღიური საქმიანობის ნაყოფიერებისათვის საჭიროა შეუნელებელი მუშაობა ბოლშევიზმის დასაუფლებლად.

როგორც ცნობილია თეორიულმა კონფერენციამ მოიპოვა მოქალაქეობრივი უფლება. თეორიული კონფერენცია წინასწარი სამზადისის ჩატარების შედეგად, კიდევ უფრო გაზრდის რაიონში მომუშავე პარტიის წევრების პასუხისმგებლობას და ენტუზიაზმს მარქსიზმ - ლენინიზმის ღრმად დაუფლების საქმეში.

აკ. სვანიძე

თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანასთან არსებულ საქარხნო საფაბრიკო სკოლის უფროსი.

მიღებული ცოდნით არ დავკმაყოფილდები

„საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“—ამ სტალინური სახელმძღვანელოს გამოსვლამ საშუალება მომცა საფუძვლიანად შემესწავლა ბოლშევიზმის გმირული ბრძოლის ისტორია.

ბოლშევიზმის ისტორიის ღრმად შეთვისებისათვის „საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ სახელმძღვანელოსთან ერთად ვსარგებლობდი მარქსიზმის კლასიკოსთა ძირითადი ნაწარმოებებით. ცალკეული თავების შესწავლისას წავიკითხე ლენინის ნაშრომები— „რით დავიწყოთ“, „რანი არიან „ხალხის მეგობრები“ და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ“, სტალინის — „ლენინიზმის საკითხები“, „გაკვრით პარტიულ უთანხმოებაზე“ და სხვ.

მეცადინეობის პროცესში ყველაზე მეტი დრო „საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ IV თავის შესწავლას მოვანდომე, უკეთ გარკვევისა და შეთვისების მიზნით წინასწარ ამ თემაზე მოვისმინე რამდენიმე ლექცია პარტიულ კაბინეტში, მაგალითად, ლექცია პროფ. გოგიბერიძისა და სხვ.

„საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ კიდევ უკეთესად შესწავლის მიზნით მარქსიზმის კლასიკოსთა ძირითადი წყაროების გვერდით ვკითხულობდი და ფართოდ ვიყენებდი მხატვრულ ლიტერატურას. ამჟამად განმეორებით ვკითხულობ ოსტროვსკის წიგნს „როგორ იწრთობოდა ფოლადი“.

გარდა ამისა, კითხვის პროცესში გაუგებარი საკითხების გარკვევისათვის და წაკითხულის განმარტებისათვის სისტემატურად ვესწრებოდი და ვესწრები კონსულტაციებსა და ლექციებს, დაკავშირებული ვარ პარტკაბინეტთან. ამასთან ერთად ცოდნის გაღრმავებისათვის დავათვალიერე ლენინის მუზეუმი, ავლაბრის ყოფილი არალეგალური რესტავრირებული სტამბა, დიდი ბელადის სამშობლო, რამაც კიდევ უფრო განმიმტკიცა თეორიულად შეძენილი ცოდნა. ამასთანავე ყოველდღიურად ვკითხულობ ჟურნალ - გაზეთებს — „კომუნისტს“, „ახალგაზრდა კომუნისტს“, „სტალინურ ლოკომოტივს“, „ბოლშევიკს“, „პარტიულ მშენებლობას“, და ა. შ.

ჟურნალ-გაზეთებისა და პოლიტიკური და მხატვრული ლიტერატურის წაკითხვისათვის ყოველდღიურად გამოყოფილი მაქვს 2 საათი, რასაც ნაყოფიერად ვიყენებ.

„საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ შესწავლამ საფუძვლიანად გააღრმავა ჩემში პოლიტიკური მომზადების დონე, ეს საუკეთესოდ შეხმარება ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმიანობაში.

იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლების საქმეში მიღწეულით არ ვკმაყოფილდები. თავისთავზე შეუნელებელი მუშაობით ვცდილობ ღრმად დავეუფლო მარქსიზმ-ლენინიზმს, კიდევ უფრო გავაფართოო ჩემი იდეური მომზადების დონე და —ამჟამად ლენინური კომკავშირის წევრი — მომზადებული შევიდე ლენინ-სტალინის დიადი პარტიის რიგებში.

გ. გაგელაია

ამიერკავკასიის ლ. ბერიას სახელობის რკინიგზის კავშირგაბმულობის მე-3 დისტანცია.

ხელმძღვანელი კადრების პოლიტიკური ჰორიზონტის შესახებ

ვ. ბირკაია

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. ლენინის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე

თითქმის ორი წელი სრულდება მას შემდეგ, რაც გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის სტალინური სახელმძღვანელო. ამ ხნის განმავლობაში პარტიულმა ორგანიზაციებმა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1938 წლის 14 ნოემბრის დადგენილების საფუძველზე მეტად მდიდარი გამოცდილება დააგროვეს. პარტიული პროპაგანდის ხელმძღვანელობის საქმეში გამოძებნილ იქნა ახალი ფორმები და მეთოდები. ის დიდი ინტერესი, რომელიც გამოიწვია ჩვენს კადრებში მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის შესწავლამ, პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელების წინაშე აყენებს მეტად სერიოზულ ამოცანებს, მოითხოვს მათგან არსებით დახმარებასა და ყურადღებას.

ერთერთ სერიოზულ დახმარებად, რომელსაც საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომი უწევდა წიგნზე ინდივიდუალურად მომუშავე ამხანაგებს, უნდა ჩაითვალოს მათთვის მაღალკვალიფიციური ლექციებისა და კონსულტაციების მოწყობა. როგორც ცნობილია, ლექციური პროპაგანდა სარგებლობს დიდი პოპულარობით და მისადმი ინტერესი, რომელიც საერთოდ დიდია, დღითიდღე იზრდება. დღემდე ლენინის რაიონში ჩატარებულია 380-ზე მეტი ლექცია, რომელსაც დაესწრო დაახლოებით 42.700 კაცი. თვითეულ ლექციას საშუალოდ ესწრება 120 კაცი.

ლექციურ პროპაგანდაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ორგანიზაციულ მხარეს — აუდიტორიის სწორად შერჩევის საკითხს. ამ მხრივ ჩვენ ყველაფერი რიგზე როდი გვქონდა. ამის შესახებ მიგვითითა საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელმა ამხ. კ. ჩარკვიანმა საქ. კ. პ. (ბ) XIII ყრილობაზე. ამჟამად ჩვენ არსებითად გავაუმჯობესეთ ლექციური პროპაგანდისადმი ხელმძღვანელობის საქმე. ლექციას რაიონში კითხულობენ მაღალკვალიფიციური ლექტორები: ლექციებს ვატარებთ დიფერენციალურად, მსმენელთა მომზადების დონის მიხედვით; წინასწარ ვამუშავებთ ლექციების თემატიკას და, რაც მთავარია, ლექციების თემატიკის შედგენის დროს ვითვალისწინებთ იმას, თუ ვის რომელ საკითხზე სურს ლექციის მოსმენა. ამ შემთხვევაში ჩვენ ანგარიშს ვუწევთ ამხანაგების სურვილს, რომელსაც ისინი გამოსთქვამენ ხოლმე თეორიის ინდივიდუალურად შემსწავლელთა თათბირებზე.

ამასწინათ ჩვენ ჩავატარეთ იმ ამხანაგების რაიონული თათბირი, რომლებმაც დაამთავრეს „საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ შესწავლა. თათბირის მუშაობას ხელმძღვანელობდა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. ლენინის რაიკომის მდივანი ამხ. მ. ჩუბინიძე. ეს თათბირი რომ დროული იყო, ამაში ცხადად დავრწმუნდით. ამხანაგების დიდმა ნაწილმა დაამთავრეს „მოკლე კურსის“ შესწავლა. ძალაუნებურად წამოიჭრება მათს წინაშე კითხვა: რა ჰქნან შემდეგში, როგორ და რაზე იმუშაონ იმისათვის, რომ უფრო ღრმად დაეუფლონ თეორიას? რასაკვირველია, ამხანაგები არ უნდა დაკმაყოფილდნენ მიღწეულით და ამდენად კანონიერია მათი მოთხოვნა—ვუთხრათ, თუ როგორ იმუშაონ, მომავალში რას მიაქციონ უფრო მეტი ყურადღება და სხვ.

სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის პარტკომის მდივანმა ამხ. კუჭავამ მთლიანად დაამთავრა „საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ შესწავლა. ახლა ის პირველწყაროებზე მუშაობს. „მოკლე კურსი“ მთლიანად შეისწავლეს აგრეთვე დეპოს პარტბიუროს მდივანმა ი. გეტაშვილმა, დეპოს უფროსის მოადგილემ, დაწინაურებულმა მემანქანემ ამხ. თამარ გაგნიძემ, სატვირთო სადგურის უფროსის მოადგილემ ამხ. ი. ჩხიკვაძემ. ცნობილია, რომ იქ, სადაც ხელმძღვანელი პარტიულ-საბჭოთა კადრები თვითონ სწავლობენ თეორიას, იქ სწორედ სწყვეტენ სამეურნეო-პოლიტიკურ ამოცანებს; პირადი მაგალითის ძალა დიდი ძალაა. როცა პარტიული ორგანიზაციის მდივნები ეუფლებიან მარქსიზმ-ლენინიზმს, მაშინ სხვებიც კარგად სწავლობენ; პარტიული ორგანიზაციის მდივანს, რომელიც თვითონ კარგად სწავლობს, არ ეშინია თავისუფლად იმსჯელოს თეორიის საკითხზე, ის არ გაურბის კომუნისტებთან თეორიულ საუბარს, არამედ თვითონაა დაინტერესებული, თუ როგორ იზრდებიან კომუნისტები, როგორ იზრდებიან ხელმძღვანელი კადრები პოლიტიკურად, როგორ ამაღლებენ ისინი თავიანთ შეგნებულობას. ამის საუკეთესო მაგალითებიც გვაქვს. სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანაში, დეპოში და სხვ. შესძლეს სწორად შეეხამებინათ პოლიტიკური მუშაობა სამეურნეო საქმიანობასთან, საზოგადოებრივი პარტიული აზრი შეექმნათ იმათ წინააღმდეგ, ვინც არ სწავლობს თეორიას და არ იმაღლებს პოლიტიკურ შეგნებულობას. როდესაც სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანაში კომუნისტი ამხ. კიკვილაშვილი გამოიძახა პარტორგანიზაციის ხელმძღვანელმა და ესაუბრა მას თეორიის საკითხზე, ამხ. კიკვილაშვილი გაწითლდა, რადგანაც არ სწავლობდა პარტიის ისტორიას. ის იძულებული იყო ხელი მოეკიდნა საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის შესწავლისათვის.

მაგრამ ყველგან ასე როდი ხელმძღვანელობენ პარტიულ პროპაგანდას. ხშირად თვით ხელმძღვანელი ამხანაგები არ სწავლობენ და არ უჩვენებენ მაგალითს სხვებს თეორიის დაუფლებაში. 26 კომისრის ქარხანაში ქარხკომის თავმჯდომარე, პარტიის წევრი ამხ. შარაბიანი არ მუშაობს თავისთავზე. მას შვიდ თვეზე მეტია წიგნი ხელში არ აუღია. „ხომ იცით, ძალიან გადატვირთული ვარ!“ — აცხადებს ის. აქ, რასაკვირველია, დროის უქონლობის მომიზეზება არაფერ შუაშია. ამხ. შარაბიანს დრო აქვს, მაგრამ რაციონალურად ვერ იყენებს.

პარტიული პროპაგანდის საქმე რაიონში ისე უნდა დავაყენოთ, რომ ყველა კომუნისტი ეუფლებოდეს თეორიას. განსაკუთრებით უნდა გავაუმჯობესოთ აქტივის სწავლება. ჩვენ, მართალია შემოღებული გვაქვს აქტივის სწავლება, თვეში რამდენჯერმე ჩვენი ხელმძღვანელი კადრები იკრიბებიან რაიკომში და ისმენენ თეორიულ ლექციებს, მაგრამ ამხანაგებს ეს არ აკმაყოფილებს. იმ ამხანაგების თათბირმა, რომლებმაც დაამთავრეს საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის შესწავლა, გვიჩვენა, რომ საჭიროა გავაფართოოთ ჩვენი აქტივის სწავლების თემატიკა. ამხანაგები ამ თათბირზე სამართლიანად მოითხოვდნენ გადმოგვეღო მოსკოვის და ლენინგრადის მოწინავე პარტიული ორგანიზაციების გამოცდილება. კერძოდ საკითხი შეეხებოდა იმას, რომ ჩავატაროთ პოპულარული ლექციები მეცნიერების იმ დარგებიდანაც, რომლებიც დაკავშირებულია მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის შესწავლასთან.

ხშირად ამხანაგები ჩივიან, რომ, მართალია, მათ დაამთავრეს „საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ შესწავლა, გულმოდგინედ წაიკითხეს იგი, მაგრამ ბევრი რამ მათთვის გაუგებარი დარჩა. განსაკუთრებით უჭირთ საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მეოთხე თავის გაგება. რატომ ხდება ეს? დიალექტიკური მატერიალიზმი ეყრდნობა თანამედროვე ბუნებათმეცნიერების მიღწევებს და ამიტომ დიალექტიკური მატერიალიზმის ღრმად შესწავლისათვის საჭიროა ვიცოდეთ როგორც ისტორია, ისე ბუნებათმეცნიერება. დიალექტიკური მატერიალიზმის შესწავლისათვის ადამიანი ყოველმხრივ განვითარებული უნდა იყოს. ის უნდა იცნობდეს მეცნიერების მრავალ დარგს. ამას მოითხოვდა სწორედ ლენინი თვითეული კომუნისტისაგან. რატომ არ შეიძლება აქტივისათვის ეწყობოდეს პოპულარული ლექციები სოციალიზმზე, კომუნიზმზე, ისტორიაზე, პოლიტიკურ ეკონომიაზე, ლიტერატურაზე, ხელოვნებაზე, ბუნებათმეცნიერებაზე? ეს შეიძლება და საჭიროც არის. ამ მხრივ სამართლიანი იყო ამხანაგების მოთხოვნა.

ჩვენი პარტიის ცენტრალურმა ორგანომ გაზეთმა „პრავდამ“ ამა წლის 1 ივნისს მოწინავეში სერიოზულად დააყენა საკითხი ჩვენი ხელმძღვანელი კადრების პოლიტიკური ჰორიზონტის გაფართოების შესახებ. ჩვენ აქედან სათანადო დასკვნები უნდა გავაკეთოთ და არ დავკმაყოფილდეთ მიღწეულით. საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის უკანასკნელმა პლენუმმა თბილისის პარტიულ ორგანიზაციებს საბრძოლო ამოცანად დაუსახა ყოველმხრივ გააუმჯობესონ ლექციური პროპაგანდისადმი ხელმძღვანელობა. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ისე დავაყენოთ პარტიული პროპაგანდა, როგორც ამას მოითხოვს საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1938 წლის 14 ნოემბრის დადგენილება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეინოს მთავრობა გადადგა

ლონდონი, 17 ივნისი (საქდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ გუშინ საღამოს საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს სხდომის შემდეგ გამოშვებულ იქნა კომუნიკე, სადაც ნათქვამია: „რეინომ რესპუბლიკის პრეზიდენტს განცხადება წარუდგინა კაბინეტის გადადგომის შესახებ. ლებრენმა ეს გადადგომა მიიღო და დაუყოვნებლივ დაავალა მარშალ პეტენს ახალი კაბინეტის შედგენა“.

ახალი კაბინეტი საფრანგეთში

ლონდონი, 17 ივნისი (საქდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება: „გუშინ საღამოს მარშალმა პეტენმა კაბინეტი შეადგინა შემდეგი შემადგენლობით: მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე — მარშალი პეტენი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე—შოტანი, იუსტიციის მინისტრი — ფრემიკური, ნაციონალური თავდაცვის მინისტრი — გენერალი ვეიგანი, სამხედრო მინისტრი — გენერალი კოლსონი, საზღვაო მინისტრი და სავაჭრო ფლოტის მინისტრი—ადმირალი დარლანი, ავიაციის მინისტრი — გენერალი პიუჟო, საგარეო საქმეთა მინისტრი — პოლ ბოდუენი, შინაგან საქმეთა მინისტრი—პომარე, ფინანსთა მინისტრი და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი — ბუტილიე, კოლონიათა მინისტრი — რივიერი, განათლების მინისტრი—რიბო, საზოგადოებრივ სამუშაოთა მინისტრი — ფროსარი, მიწათმოქმედებისა და მომარაგების მინისტრი—შიშერი, შრომის მინისტრი—ფევრიე, სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი—იბარნეგარე.

მთავრობის შედგენისთანავე პეტენმა მოიწვია მინისტრთა საბჭოს პირველი სხდომა რესპუბლიკის პრეზიდენტის თავმჯდომარეობით იმისათვის, რომ განხილული ყოფილიყო ქვეყნის სამხედრო და დიპლომატიური მდგომარეობა“.

ჟანენესა და ერიოს გადადგომა

ნიუ-იორკი, 17 ივნისი (საქდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, სენატის თავმჯდომარე ჟანენე და დეპუტატთა პალატის თავმჯდომარე ერიო გადადგნენ.

ამერიკის პრესა რეინოს მთავრობის გადადგომის შესახებ

ნიუ-იორკი, 17 ივნისი (საქდესი). მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთიდან გამოგზავნილ ცნობებზე შემოღებულია მკაცრი ცენზურა, ამერიკის პრესა რეინოს გადადგომას განმარტავს როგორც იმის ნიშანს, რომ საფრანგეთი მალე კაპიტულაციას მოახდენს. გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ აქვეყნებს რადიომაუწყებელი კამპანიის „კოლუმბიას“ კორესპონდენტის მიერ ბორდოდან გამოგზავნილ ცნობას საფრანგეთის მთავრობის გადადგომის შესახებ. კორესპონდენტი აცხადებს:

„სავსებით ცხადია, თუ რა მოხდება დღეს საღამოს, თუმცა ამჟამად ოფიციალურად იმის განცხადება, რომ საომარი მოქმედება შეწყდა, შეუძლებელია“.

შემდეგ მიღებულ იქნა ცნობა იმის შესახებ, რომ ბონემ, ლავალმა და ფლანდენმა უარი განაცხადეს პორტფელზე ახალ მთავრობაში.

ნიუ-იორკი, 17 ივნისი (საქდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, ოფიციალურ წრეებში აღნიშნავენ, რომ რეინოს გადადგომა ადასტურებს ცნობებს იმაზე, რომ „საფრანგეთის მთავრობა უახლოეს ხანში შესწყვეტს ბრძოლას საფრანგეთში“. „საფრანგეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტი, ავიაცია და კოლონიური ჯარი, — აღნიშნავს კორესპონდენტი, — განაგრძობენ ბრძოლას ინგლისის მხარეზე აფრიკასა და შუა აღმოსავლეთში“.

ნიუ-იორკი, 17 ივნისი (საქდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტო კომენტარს უკეთებს რა საფრანგეთის ახალი კაბინეტის შემადგენლობას, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მთავრობაში შეყვანილი არ არიან შეიარაღებათა, ინფორმაციის, ბლოკადისა და მომარაგების მინისტრები.

ნიუ-იორკი, 17 ივნისი (საქდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, რეინოს მთავრობა გადადგა, მიიღო თუ არა ფრიად მნიშვნელოვანი ცნობები უინსტონ ჩერჩილისაგან. ამ ცნობების შინაარსი გამოურკვეველია. გადადგომამდე რეინო ესაუბრა ინგლისის ელჩს კემპბელსა და ინგლისის პარლამენტის წევრს გენერალ სპირსს.

ინგლისელი კორესპონდენტები საფრანგეთში არსებული მდგომარეობის შესახებ

ლონდონი, 16 ივნისი (საქდესი). გაზეთ „ნიუს ქრონიკლის“ სპეციალური კორესპონდენტი, რომელიც 14 ივნისს ლონდონიდან გაფრინდა ტურს, იუწყება, რომ როცა თვითმფრინავი იქ ჩავიდა, აეროდრომზე ყველა მგზავრი გააფრთხილეს, რომ „ტურში თქვენ ვერ იპოვით ვერც ტრანსპორტს, ვერც სასტუმროს, ვერც საჭმელს საკმაო რაოდენობით“. კორესპონდენტი სწერს, რომ „მილიონობით ლტოლვილი მიემართება სამხრეთისაკენ მიმავალი გზებით. უსახლ-კარო ადამიანთა ეს დაუსრულებელი ნაკადი იწვევს ფრონტის დეზორგანიზაციას და ზურგის დემორალიზაციას“.

გაზეთ „დეილი მეილის“ პარიზელი კორესპონდენტი სწერს, რომ შევიდნენ რა პარიზში, გერმანელებმა გამოაქვეყნეს ბრძანება, რომლითაც პურის, ხორცისა და სხვა სასურსათო მაღაზიების მფლობელებს წინადადება მისცეს დაიწყონ ვაჭრობა ჩვეულებრივ საათებში.

გაზეთ „ტაიმსის“ კორესპონდენტი, ისე როგორც ინგლისური გაზეთების დანარჩენი კორესპონდენტები, თავის ცნობაში დაწვრილებით აღწერს ლტოლვილთა სერიოზულ მდგომარეობას. პარიზის სამხრეთით მიმავალ გზებზე დღედალამ მიედინება ადამიანთა ნაკადი, რომელიც ხელს უშლის სამხედრო საჭურველის გამოზიდვას ქარხნებიდან და ჯარისათვის მაშველი ძალების გაგზავნას. ყოველგვარი ნებაყოფლობითი ორგანიზაციები ცდილობენ მდგომარეობა შეუმსუბუქონ ლტოლვილებს. მაგრამ ეს მათ არ ძალუძთ, რადგან საფრანგეთის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში თავმოყრილია სულ ცოტა 5-6 მილიონი ლტოლვილი. საფრანგეთის მთავრობას არ შეუძლია გადასჭრას მოსახლეობის სურსათ-სანოვაგით მომარაგების პრობლემა, რადგან ავტოტრანსპორტი არ მოიპოვება, ყველა გზა გაჭედილია ლტოლვილებით, ხოლო რკინიგზის სადგურებზე არის ადამიანთა დაუსრულებელი რიგები, რომელნიც გამგზავრებას ელიან.

ჩუნცინის ბომბარდირება

ჩუნცინი, 17 ივნისი (საქდესი). იაპონიის ავიაციის თავდასხმის გამო 16 ივნისს ჩუნცინის მოსახლეობა ხუთი საათის განმავლობაში ყუმბარსაფარებში იმყოფებოდა. იაპონიის ასზე მეტმა თვითმფრინავმა ხშირად დასახლებულ ცენტრალურ ქუჩებში ჩამოჰყარა რამდენიმე ასეული ყუმბარა, რომლებშიც ნახევარზე მეტი ცეცხლგამჩენი იყო. საღამომდე მთელი ქალაქი ხშირ კვამლში იყო გახვეული. 14 ადგილას ხანძარმა იფეთქა. განსაკუთრებით დიდი ხანძარი გაჩნდა მდინარე იანძის რაიონში, სადაც მთელი უბნები დაიწვა. მარტო ერთ ადგილას 150-დე სამხუთსართულიანი სახლი—მაღაზიები, აფთიაქები, სკოლები, სასტუმროები, დაწესებულებანი და საცხოვრებელი სახლები — დაიწვა. ყუმბარების პირდაპირ მოხვედრის გამო დანგრეულია უცხოელთა სასტუმრო და გაზეთ „ნიუ-იორკ-ტაიმსის“ კორესპონდენტის კანტორა.

თავდასხმის დროს საჰაერო ბრძოლა მოხდა. ჩამოგდებულია იაპონიის რამდენიმე ყუმბარმშენი. დაზიანებულია ჩინეთის სამი ავიაგამანადგურებელი.

ჩუნცინში გრძელდება მოსახლეობის გაძლიერებული ევაკუაცია. ევაკუირებულთა დასახმარებლად გამოყოფილია უფასო სატვირთო ავტომობილები და საშუალებანი.

ხარიტონ ვარდოშვილი

აკაკის

გმირს უყიოდა მისი ნაღარა,
სულში ნაღველი ჰქონდა მალული.
იადონივით მღეროდა მარად
მამულის ტრფობით გულგამსჭვალული.

ბრძნული აზრების იყო მთესავი,
ხალხის სულშიაც გაიდგა ფესვი,
და ათბობს მიწას, დილის მზესავით,
მისი სიმღერა, უდიადესი.

მღეროდა ვნებით, სულით ძლიერი
და სიყვარულის ცეცხლით გზნებული,
რუსთველის სისხლი და ნაშიერი,
ქართულ მიწაზე დაბადებული.

დიდი მგოსანი, მაღალ ბუნების,
ცრემლში ლესავდა ნაღველს და ურვას,
ვერ გაიტაცა გზამ ფუფუნების
და სიკვდილამდე ხალხს ემსახურა.

ჰგავდა ცის შნათობს, მოვლენილს ბარად,
ჰანგთა მისანი—სიმღერით მთვრალი,
ხედავდა მამულს—ქმნილს იავარად—
და ევსებოდა ცრემლებით თვალი.

○

ოი, მგოსანო, ბევრჯერ დასერეს
შენი მხნე გული შხამის ისარით,
ერის გუშაგი არ მოგასვენეს,
და მოგანატრეს კუბოს ფიცარი.

იქნებ საფლავშიც გულს გაწევს ბინდად
მამულზე ფიქრი, ნაღველით სავსე?
იქნებ გამძიმებს შენი მთაწმინდა —
დიად ძეგლად რომ გადგია თავზე!

შენ ხომ გხიბლავდა ეგ არე-მარე,
ცად მოკიაფე ვარსკვლავთ კრებული,
და უმღეროდი ლექსებს მგზნებარეს
მისებრ ლაღი და ჩაფიქრებული.

შენ ხომ დამტკბარხარ მასთან საუბრით,
გიგრძვნია მისი მზის ეუფანტელი,
გაგბრწყინვებია მაღალი შუბლი
ლაჟვარდით დაღვრილ მთვარის
ნათელით!

ო, ერთხელ მაინც გადმოიხედე,
შენ ხომ არ გძინავს მოკვდავის ძილით,
შეავლე თვალი მთაწმინდის ქედებს.
სულს დაიმშვიდებ ზეცის ღიმილით.

ნახე შენს ლექსთა გრძნეულ თილისმით
ვით მოხიბლულა ქართული მთვარე,
როგორ გაზრდილა შენი ტფილისი
და გმირულ სულით როგორ
მღელვარებს!

პოეტის ნაწარმოებთა საიუბილეო გამოცემა

რესპუბლიკური საიუბილეო კომიტეტის გადაწყვეტილებით, სახელგამი 7 ტომად გამოსცემს აკაკი წერეთლის თხზულებათა სრულ კრებულს. პოეტის დაბადების 100 წლისთავისათვის (ა. წ. 22 ივნისს) დაიბეჭდება და გამოვა პირველი ტომი 50 ნაბეჭდ ფურცლად. ამ ტომში, რომელიც პ. ინგოროყვას და ა. აბაშელის რედაქციით გამოდის, შევა დაახლოებით 500 ლექსი. იმავე დროისათვის გამოვა მესამე ტომი 40 ნაბეჭდ ფურცლად; ამ ტომში, რომელიც ი. გრიშაშვილის რედაქციით გამოდის, შევა აკაკის ყველა პოემა.

აკაკი წერეთლის თხზულებათა მეორე ტომი, რომელიც 400 ლექსს შეიცავს, წლის დამლევამდე გამოიცემა. დანარჩენი 3 ტომი გამოვა 1941 წელს.

(საქდესი).

დიდი პოეტი—დიდი მოქალაქე

13 წლისა ვიყავი, როდესაც აკაკი ვნახე და პირადად გავეცანი. აკაკის სახლი, ჩვენ სოფელზე 3 კილომეტრით იყო დაშორებული. პოეტის მოხუცი დაიანა, რომელსაც ჩვენი სოფლის ყოველი გლეხი იცნობდა და ემადლიერებოდა, ხშირად მენახა.

ჩემი პირადი გაცნობა აკაკისთან შემთხვევით მოხდა და ამ ბედნიერმა შემთხვევამ ჩემს მომავალ ცხოვრებაში გადამჭრელი როლი ითამაშა.

იმ დროს მე სოფლის დაწყებითს სკოლას ვამთავრებდი ფრიადებზე, მაგრამ არავითარი სახსარი არა მქონდა სწავლა განმეგრძო. ეს გარემოება აწუხებდა ჩემს მასწავლებლებსაც. ერთმა მათგანმა ი. ლამბაშიძემ აკაკის მიმართა.

ერთ დღეს მან მითხრა—ხვალ აკაკისთან გამოცხადდი სხვიტორშიო...

არაჩვეულებრივ სულიერ მღელვარებას განვიცდიდი. მეხსიერებაში გადავათვალიერე აკაკის ნაწარმოებები. აღმოჩნდა, რომ მცირე გამონაკლისს გარდა ყველა მისი პოემა, მოთხრობა და ლექსებიც ვიცოდი; ბევრი ზეპირადაც. ზოგი კიდევ გადავიკითხე და ხმამაღლაც გავიმეორე.

მეორე დღეს ორ საათზე აკაკისთან უნდა გამოვცხადებულიყავი—(როგორც შემდეგ შევიტყვე, აკაკი იძინებდა არაუადრეს ღამის 3 საათისა და დგებოდა 12—1 საათზე). ეს დღე ნაწვიმარი, ტალახიანი იყო, მაგრამ ჩემთვის იგი მზე-ბედნიერი აღმოჩნდა.

ერთი გარემოება მაღონებდა: ძალზე დაძველებული ტყავის წუღები მქონდა, შესაძლო იყო სადმე ტალახში ჩამრჩენოდა, ან ისე მოვსვრილიყავ, რომ პოეტის სახლში შესვლა სამარცხვინო გამხდარიყო; გადავწყვიტე: აკაკის სახლამდე ფეხშიშველა მივიდოდი, იქ—კარის წინ ჩიხურაში ფეხს დავიბანდი და მშრალ, სუფთა წუღებს ჩავიცვამდი. ასეც მოვიქეცი.

პოეტის სახლის აივანზე იდგნენ მისი მსახური კოტე აბდუშელიშვილი თავისი მეუღლე ანიკოთი. ისინი მე მიცნობდნენ, და არაერთხელ აღმოუჩენიათ ჩემთვის დახმარება.

აკაკის ჯერ კიდევ ეძინა. კ. აბდუშელიშვილმა გამაფრთხილა, რომ აკაკის ლექსები გამეხსენებინა და პოეტისათვის წამეკითხა. ლაპარაკში მან ყურადღება მიაქცია ჩემს წუღებს და გაკვირვებით მკითხა—როგორ მოვედი ასე მშრალად ამ ტალახში. მინდოდა სხვა რამ მიზეზი მეთქვა, მაგრამ ვერა მოვიფიქრე რა და სიმართლე ვუთხარი. მან გაიცინა და მიხვედრილობა მომიწონა.

მალე პოეტმა გაიღვიძა და ცოტა ხნის შემდეგ მის წინაშე წარვსდექი. თავი დავუკარი. ხელი გამომიწოდა. კიდევ დავუკარი თავი და იქვე დავდექი. სკამზე მიმითითა და მითხრა დავმჯდარიყავი.

აკაკიმ ყველაფერი გამომკითხა და ბოლოს მითხრა:

— ამბობენ კარგად სწავლობსო—და კ. აბდუშელიშვილზე მიმითითა, ამანაც დამიდასტურაო.

მე სირცხვილით თავი ჩავღუნე და არაფერი ვუპასუხე.

— ძალიან ნიჭიერი ბავშვია,—ჩაერია კ. აბდუშელიშვილი. აბა შეხედეთ ბატონო! სამი ვერსი გამოუვლია და ფეხზე ტალახიც არ მოსცხებია.

აკაკიმ დამხედა. კოტემ უამბო, თუ როგორ მოვახერხე მშრალად მოსვლა. აკაკიმ მადიანად გაიცინა და სთქვა:

— ბაბუაშენი კიკოლა ტალახაძეც ძალიან ჭკვიანი კაცი იყო. არას წააგებ, თუ მისი ნიჭი გამოგყვაო.

კოტე აბდუშელიშვილმა დაიწყო:—ბატონო აკაკი, ნუ ეტყვით უარს, ერთი კარგი ლექსი თქვას ამ ბავშვმა.

აკაკიმ თანხმობა გამოსთქვა.

მე წამსვე ავდექი და მოვემზადე, მაგრამ... რა მომდის?! თითქოს არც ერთი ლექსი არ მახსოვს. გავფითრდი. შემრცხვა.

აკაკიმ შემატყო აღელვება და დასამშვიდებლად გამომკითხა, რა და რა ლექსები გისწავლიაო.

აკაკის ლექსებიდან ათი მაინც დავასახელე და ბოლოს—პოემა „თორნიკე ერისთავი“.

— ნუთუ ასეთ გრძელ პოემებს სწავლობთ სოფლის სკოლაში?—მკითხა აკაკიმ.

— არა. ეს მე თვითონ წავიკითხე.

— აბა გვიჩვენე როგორ იცი?—მითხრა აბდუშელიშვილმა.

ბევრი თხოვნა აღარ დამჭირდა. ორი თავი შეუსვენებლად წავიკითხე.

აკაკიმ შემაჩერა და ხელით მანიშნა დავმჯდარიყავი...

— მზად ვარ ყოველმხრივ მოგეხმარო. ქიათურის მრეწველთა კომიტეტს სტიპენდიას წავართმევ. ამხანად ქიათურის სკოლაში მოგაწყობ, შემდეგ ქუთაისშიც გადაგიყვან, თუ კარგად ისწავლი.

მე წამოვდექ. მადლობა გადავუხადე.

აკაკიმ მიმართა აბდუშელიშვილს და ისეთი აზრი გამოსთქვა, რომ მას შავი ქვის მრეწველობის საქმეში ერთგვარი ღვაწლი მიუძღვის, მაგრამ მრეწველებს ეს არც ახსოვთ. „ჩარჩი მუდამ ჩარჩის ქერქს ატარებსო“—დაასრულა პოეტმა. მან ჯიბიდან საფულე ამოიღო. გახსნა. ერთი თუმნიანი მაჩუქა და მორცხვად დაუმატა:

— ფეხსაცმელები იყიდე. ყოჩაღად იყავი. ეცადე სწავლას. დახმარებას არ დაგაკლებო.

მინდოდა მადლობა მეთქვა, მაგრამ ყელში რაღაც მომაწვა და ხმა ჩამიკვდა. გავშეშდი.

— კოტე შეგატყობინებს ჩემი ცდის შედეგს,—მითხრა აკაკიმ და ზეზე წამოდგა.

სახლის აივანზე მას მოსული გლეხები უცდიდნენ და იქით წავიდა.

○

აკაკი ღარიბად ცხოვრობდა. მისი მცირე მიწები მეზობელ გლეხებს იჯარით ეჭირათ. სინამდვილეში კი არცერთი მათგანი იჯარას არ იხდიდა. ამ საქმეში ერთგვარი წილი თვით აბდუშელიშვილსაც უძღოდა. ის თვითონ მშრომელი კაცი იყო და გლეხებთან კარგი განწყობილება ჰქონდა. მათ იჯარის ფულზე არ აწუხებდა. არც აკაკი ატანდა ძალას.

იჯარის ფული წლიდან-წლობით გროვდებოდა. აკაკის ჩამოსვლის შესახებ კ. აბდუშელიშვილი გლეხებს წინდაწინვე ატყობინებდა და ურჩევდა პოეტთან მისულიყვნენ და მისთვის იჯარის ფულის პატიება ეთხოვნათ. ასეც იქცეოდნენ. საკმარისი იყო აკაკისათვის გაეცხადებიათ, რომ მოსავალი ცოტა იყო, რომ ღარიბები არიან და სხვ. აკაკი თვითონვე დაასწრებდა ხოლმე:

— ვიცი, ვიცი, თქვენ იჯარის გადახდა არ შეგიძლიათ. ნუ შეწუხდებით. გლეხის ნაშრომი არ შემერგება. ეცადეთ ტყესაც და ბაღებსაც კარგად მოუაროთ. მე მათ არსად წავიღებ, თქვენი იქნება.

შემდეგ აკაკი პირადად მიმართავდა ხოლმე მოხუც გლეხებს, რომლებსაც ის კარგად იცნობდა. ბევრ მათგანს სადილად მიიწვევდა ხოლმე, მათთან საუბრობდა, სოფლის ავ-კარგს ჰკითხავდა გულმტკივნეულად და დაინტერესებით. ყველას ურჩევდა შვილებისათვის ესწავლებინათ და გლეხური დუხჭირი ცხოვრებისათვის თავი დაეღწიათ.

ერთხელ მოხუცმა გლეხმა ა. ზაბახიძემ შესჩივლა აკაკის, რომ მას ბოქაულმა სცემა და კბილები ჩაამტვრია.

აკაკიმ უპასუხა:

— ბოქაულები უმართებულო და მხეცებია საყოველთაოდ; ისე აბა მათ ბოქაულად ვინ დანიშნავს. დადგება დრო და მათ გადაახდევინებენ შენს კბილებს თითოს ათად. შენ ეცადე შვილიშვილებს ასწავლო და ისინი ცხოვრების ისეთ გზას მონახავენ, რომ ბოქაულებს სამუდამოდ მოსპობენო.

გლეხებს აკაკი და მისი ოჯახი ძალიან უყვარდათ. მის სახლს, ვენახს, ეზოს მზრუნველობით უყურებდნენ და მუშაობაში შველოდნენ. მისი და ანა გლეხებს უფასოდ მკურნალობდა. და ბევრ საქმეში რჩევა-დარიგებით ეხმარებოდა.

მე მაკვირვებდა აკაკის უბრალო, თავაზიანი მოპყრობა; მისი გულმტკივნეული დამოკიდებულება ყოველი გაჭირვებულისადმი. ის იშვიათი დემოკრატი იყო და უყვარდა მშრომელი გლეხი. სძულდა თავად-აზნაურობა—მუქთამჭამელები. შეხვედრის დროს ბევრჯერ უთქვამს:

— ბევრ აზნაურის შვილებს დავეხმარე, გზა გავუკაფე, მაგრამ ყაჩაღები გამოდგნენ. გლეხის შვილებს კი არას დროს არ შევურცხვენივარ.

პირადი ცხოვრებაც მეტად უბრალო და ღარიბული ჰქონდა აკაკის. ცხოვრობდა თბილისში მატერიალური ქუჩის კუთხეში, ერთ პატარა სახლში, ღარიბულად მორთულ სამ ოთახში. სამივე ოთახი წიგნებით იყო სავსე. ორი თუ სამი სავარძელი და ხუთიოდე სკამი იყო ამ ოთახების მორთულობა.

მის სახლში არ გამოილეოდა დახმარებისათვის მისული, გაჭირვებული ადამიანი.

ჰყავდა ერთი მოსამსახურე, შუახნის რაჭველი გლეხი ნიკო, რომელიც გაჭირვებულ მისულებს დიდი მზრუნველობით ეგებებოდა. ასეთი დავალება ჰქონია მას აკაკისაგან.

დიდი პოეტი დიდი მოქალაქე იყო — გულჩვილი, სათნო და დიდსულოვანი ადამიანი.

ი. ტალახაძე.

ვ. ვლადიმირსკი

დიდი ჰუმანისტი

გორკის მოთხრობის „დედის“ გმირი ოცნებობდა:

„...დადგება ჟამი, რომ ადამიანები შეხაროდნენ ერთმანეთს, რომ ყოველი ადამიანი მეორისათვის ვარსკვლავი იყოს!.. მაშინ ცხოვრება კი არ იქნება, არამედ იქნება სამსახური ადამიანისადმი, მისი სახე ზეამაღლდება... დიადნი იქნებიან ამ ცხოვრების ადამიანები...“

სწორედ ამ სამყაროსათვის ბრძოლას შესწირა მთელი თავისი სიცოცხლე თანამედროვეობის უდიდესმა მწერალმა, მსოფლიო კულტურის სიამაყემ და დიდებამ, კომუნიზმისათვის მგზნებარე მებრძოლმა, სამშობლო ქვეყნის თავდადებულმა პატრიოტმა, პარტიისადმი, თავისი ხალხისადმი, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობისადმი სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ერთგულმა ადამიანმა.

ლენინი და სტალინი დიდად აფასებდნენ გორკის, უყვარდათ იგი და დიდმნიშვნელოვნად სთვლიდნენ არა მარტო მის მხატვრულ შემოქმედებას, არამედ მის პრაქტიკულ რევოლუციურ მოღვაწეობასაც, ბოლშევიკური ტრიბუნის, კომუნიზმის იდეების მძლავრი პროპაგანდისტის მგრგვინავ ხმას, რომელიც მთელ მსოფლიოში გაისმოდა.

გორკი ოსტატურად იყო დაუფლებული რევოლუციური პუბლიცისტიკის უმახვილეს იარაღს.

1912 წელს, მუშათა მოძრაობის აღმავლობის პერიოდში, პირველი იმპერიალისტური ომის წინ, ლენინი სწერდა გორკის:

„სამაისო ფურცელს ხომ არ დასწერთ? ან ასეთივე სამაისო განწყობილების პატარა ფურცელს? მოკლე ფურცელს, „სულის ამამაღლებელს“, ჰა? გაიხსენეთ წარსული—გახსოვთ 1905 წელი... კარგი იქნებოდა გვქონოდა „ზვეზდას“ ზღაპრების ტიპის რევოლუციური პროკლამაცია“.

ლენინს ახსოვდა, მოსწონდა ალექსი მაქსიმეს-ძის გონებამახვილი „ზღაპრები“, რომლებიც ბოლშევიკურ „ზვეზდაში“ იბეჭდებოდა.

მაღალი იდეურობა, ენციკლოპედიური განათლება, ურყევი მებრძოლის ცეცხლოვანი მგზნებარება, მკვეთრი პოლემიკური ნიჭი გორკის სტატიებს ანიჭებდნენ ბრძნული სიმართლის მძლე ძალას.

გორკის სიტყვა კომუნიზმისათვის, ხალხთა მშვიდობიანობისა და ბედნიერებისათვის ბრძოლის ისტორიაში შევა, როგორც პროლეტარული ჰუმანიზმის უდიდესი ძეგლი.

უკვე თავისი სამწერლო ჭაბუკობის გარიჟრაჟზე გორკი ილაშქრებს მეშჩანობის წინააღმდეგ, რომლისთვისაც ფული ყველაფერია. მეშჩანობას უსაზღვროდ ეშინია მომავლისა, იგი უფრთხილდება თავის სიმშვიდეს და ახრჩობს ყოველგვარ გამოვლინებას „თავისუფალი, თამამი გონებისას, იმ ძალისას, რომელიც ჰქმნის კულტურას, ამდიდრებს ცხოვრებას“.

როდესაც რუსეთის მეფე საფრანგეთის ბურჟუაზიის ფულით ამზადებდა 1905 წლის რევოლუციის ჩახრჩობას ხალხის სისხლში, მთელ მსოფლიოში გაისმა გორკის მოწოდება: „ნუ ჩაიდენთ ისტორიულ დანაშაულს, რომელიც ჯერ არავის ჩაუდენია, — დანაშაულს, რომელიც იმდენადვე უაზროა, რამდენადაც სამარცხვინო“.

გორკი მრავალრიცხოვან სტატიებში გააფთრებით გამოდიოდა საფრანგეთის სესხის წინააღმდეგ, ინგლის-საფრანგეთის ფინანსიური კაპიტალის წინააღმდეგ. და როდესაც „ტურფა და თავისუფლების მოყვარული“ საფრანგეთის ოქრო წამოვიდა მეფის ჭუჭყიან ჯიბეებში, მწერალმა სამარცხვინო ბოძზე გააკრა „დემოკრატი“ მოვაჭრენი ოქროთი და სიკვდილით. „ეს წყეული ფული რომ არ ყოფილიყო, ამდენი და ასე მეცაურად არ დაიღვრებოდა რუსი ხალხის სისხლი. და, გინდათ თქვენ ეს თუ არა, სისხლი მაინც სამარცხვინო ლაქად დაედო ფრანგ ბურჟუაზიას და მთავრობას, რომელმაც ნება დართო იუდის სესხს“.

ამხილა რა იმპერიალისტური ომის პროვოკატორებსა და გამჩაღებლებს, გორკი სწერდა: „ბურჟუაზია მტრულად არის განწყობილი კულტურისადმი, და უკვე აღარ შეიძლება ასე არ იყოს განწყობილი, — აი სიმართლე, რომელსაც ამტკიცებს ბურჟუაზიული სინამდვილე, კაპიტალისტური სახელმწიფოების პრაქტიკა“.



მრავალი წლის განმავლობაში, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე, დიდი პროლეტარული ჰუმანისტი დაუღალავად ამხელდა კაპიტალიზმის წყლულებს. სულიერად შეშფოთებული გორკი სცემდა განგაშს, აღვიძებდა მძინარეებს, სამარცხვინო ბოძზე აკრავდა გულგრილებს, გვაფრთხილებდა იმპერიალისტური ომების საშიშროების შესახებ:

„ევროპის ყაზარმები გავსებულია გლეხებით და მუშებით, რომლებსაც გულმოდგინედ ამზადებენ ურთიერთ განადგურების სამარცხვინო საქმისათვის, ახალი ხოცვა-ჟლეტისათვის, რომელიც უფრო საშინელი იქნება, ვიდრე 14-18 წლების ხოცვა-ჟლეტა, შესძენს მსოფლიოს მილიონობით ახალ გვამებს, ათასობით შიშისაგან შეშლილებს, მილიონობით ქვრივებს და ობლებს. კვლავ დაიწყებენ ქალაქების, სოფლების ნგრევას, მინდვრების გათელვას, ნაყოფიერი მიწის გაფუჭებას და ადამიანის საუცხოო შრომის ნაყოფის მოსპობას,—კულტურის მოსპობას“.

რა გამჭრიახობა გამოიჩინა თავისი კეთილშობილი შეშფოთებით სოციალიზმის ტრიბუნმა! მეორე იმპერიალისტური ომის ალი ავარდნილია და მთელ ქალაქებსა და სოფლებს ნანგრევებად აქცევს.

გორკი ყოველთვის იბრძოდა იმისათვის, რომ მასებმა ამოჰგლიჯონ მოშხამული ნესტარი „ორგულ ქვეწარმავალს“—საერთაშორისო ოპორტუნიზმს, მუშათა კლასში ბურჟუაზიის აგენტურას, თვალთმაქც და მოსყიდულ სოციალ-დემოკრატიას, რომელიც „აფერხებს დრომოჭმულის სიკვდილს, აძნელებს ცოცხალის ზრდას...“

„სოციალისტები კაპიტალის სამსახურში — ბურჟუაზიული სამყაროს ერთერთი ყველაზე საზიზღარი მოვლენაა... ისინი იცავენ კაპიტალისტურ „წესრიგს“, რომლის დროსაც შესაძლებელია უმუშევრობა „20 მილიონზე მეტი მუშისათვის“, ეს არის „შრომის საერთაშორისო ბიუროს“ ციფრი, მაშასადამე, ძლიერ შემცირებული. ისინი იცავენ მონობას კოლონიებში...“

სოციალ-იეზუიტები — ასე უწოდებდა გორკი II ინტერნაციონალის ბელადებს, კაპიტალის ლაქიებს.

„1914 წელს II ინტერნაციონალის ბელადებმა სავსებით თვალსაჩინოდ უჩვენეს მსოფლიოს, რომ მათი ინტერნაციონალიზმი არაფრით განსხვავდება მშრომელი კლასის ენერგიითა და სისხლით მოვაჭრეთა ინტერნაციონალიზმისაგან“.

25 წლის შემდეგ ბლიუმებმა და სიტრინებმა კიდევ უფრო საშინელი გამცემლობა ჩაიდინეს. ისინი დაეხმარენ ბურჟუაზიას ჩაეგდო ხალხი იმპერიალისტური ომის ცეცხლში, ისინი წელებზე ფეხს იდგამენ, რომ მოაწყონ ახალი ჯვაროსნული ლაშქრობა სსრ კავშირის, მთელი მსოფლიოს მშრომელთა და ჩაგრულთა სამშობლოს წინააღმდეგ.

მოაგონებდა რა ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს სამოქალაქო ომისა და ავაზაკური ინტერვენციის ისტორიას, გორკი მგზნებარედ მოუწოდებდა მათ სოციალისტური სამშობლოს დაცვისაკენ.

უკანასკნელ დღემდე გორკი რჩებოდა რევოლუციის მტკიცე და მამაც ჯარისკაცად. „თუ ატყდება ომი,—სწერდა იგი, — იმ კლასის წინააღმდეგ, რომლის ძალღონითაც მე ვცოცხლობ და ვმუშაობ,—მეც რიგითი მებრძოლად წავალ მის არმიაში... ეს ჩემი კანონიერი საქმეა, ჩემი მოვალეობაა“.

გორკის უყვარდა თავისი ხალხი და მით უფრო მწვავედ სძულდა სამშობლოს გამცემლები. იგი სთვლიდა, რომ დედამიწაზე არ არსებობს ისეთი სიტყვები, რომლებიც ზიზღის სათანადო ძალით დაასვამდნენ დაღს ხალხის მტრების გამცემლობას: „გამცემლის შედარება არ შეიძლება არავისთან და არაფერთან. მე ვფიქრობ, რომ ტიფის ტილსაც კი გამცემელთან შედარება შეურაცხყოფას მიაყენებდა“.

როგორც კაცობრიობის ბედნიერებისათვის მებრძოლის უმაღლესი სიბრძნე, როგორც ზნეობრივი მოვალეობა ისტორიის წინაშე, მომავალ თაობათა წინაშე გორკიმ გამოაცხადა სიძულვილი მუშათა კლასის მტრებისადმი:

— თუ მტერი არ ნებდება,—მას სპობენ!

თვალს ადევნებდა რა სიმსუქნისაგან დამპალი, გაველურებული, სულთმობრძავი ექსპლოატატორთა კლასის აგონიას, გორკიმ იცოდა, რომ ეს არის „მომაკვდავი ავადმყოფობის აგონია“.

„ჩვენ ვცხოვრობთ, — სწერდა იგი,—იმ ქარიშხალის დასაწყისში, რომელიც დაანგრევს ძველ სამყაროს...“

გორკი ხედავდა კომუნიზმის მოახლოებულ გამარჯვებას, საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის გარდუვალ გამარჯვებას. თვითეული მისი სიტყვა გამსჭვალული იყო მაცოცხლებელი ოპტიმიზმით, საბჭოთა ხალხის ოპტიმიზმით.

გორკი იყო ახალი კომუნისტური მორალის წინასწარმეტყველი, ცხოვრების ბრძენი, სასტიკი და სამართლიანი მასწავლებელი. მისი იდეური გავლენა ჩვენი დროის ადამიანებზე განუზომლად დიდია. იგი გვასწავლიდა დაგვეფასებინა ჩვენი გამარჯვებანი, გაგვეხარებოდა ყველაფერი ახალი, სოციალისტური, დაუნდობლად აღმოგვეფხვრა უვარგისი. გორკი დაუღალავად ამხელდა ბურჟუაზიული საზოგადოების საძულველ მგლურ კანონებს, იგი ამელავნებდა და სდევნიდა კაპიტალიზმის ნაშთებს ადამიანთა შეგნებაში:

„...ასევე კარგად, ასევე საფუძვლიანად გამართლებულია ჩვენი სიძულვილი ყველა გულგრილებისადმი, ზარმაცებისადმი, უხამსებისა და სხვა მახინჯებისადმი, რომლებიც ჯერ კიდევ ცოცხლობენ, ხანდახან გამოჩნდებიან ხოლმე ჩვენს ქვეყანაში და მთელი მსოფლიოს მხნელ ჩვენს ნათელ, სასწაულებრივ მუშაობას აყენებენ უხამსობის, უხალისობის, გულგრილობის, წვრილმანური თაღლითობის, მეშჩანური ანგარების ჭუჭყიან ჩრდილებს“.

მაგრამ ჩვენს სოციალისტურ საზოგადოებაში უვარგისის დევნა მის თვალში არ ჩრდილავდა მასების კომუნისტური აღზრდის სხვა დიად მიზანს — დადებითი გამოცდილების ჩვენებას. იგი აღტაცებაში მოჰყავდა საბჭოთა წყობილების უსაზღვრო შემოქმედებითს ძალებს, მზესავით მძლავრსა და ცხოველმყოფელს. გორკის მწვავე და მკაცრი კრიტიკა ჰბადებდა შემოქმედებითი ძალების ახალ აზვირთებას.

კომუნისტური აღზრდის ამოცანათა თვალსაზრისით, რომლებიც გამოცხადებულ იქნა პარტიის XVIII ყრილობაზე, გორკის პუბლიცისტური ნაწარმოებები გაისმის განსაკუთრებით აქტუალურად, თითქოს ახლა იყოს დაწერილი. ისინი უჭკნობ სიახლეს შეინარჩუნებენ მრავალი წლის განმავლობაში. და მის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში მარტო ეს სტატიები რომ იყოს, გორკი იქნებოდა უკვდავი კაცობრიობის ხსოვნაში, როგორც რევოლუციის უშიშარი რაინდი, რომელიც თავის საბრძოლო სიტყვაში გენიალურად ანხორციელებდა ლენინისა და სტალინის იდეებს — კაცობრიობის განთავისუფლების მოწინავე იდეებს.

დიადი ხალხის დიდი შვილი, გორკი დაიღუპა საბრძოლო პოსტზე ტროცკისტ-ბუხარინელ მკვლელთა ხელით. ეს შავი ბოროტმოქმედება სამუდამო სამარცხვინო ლაქად დაედო ბურჟუაზიის საზიზღარ სინიდისს.

გორკის საქმე — კომუნიზმის საქმე, რომელსაც მან შესწირა თავისი საუცხოო სიცოცხლე,—იმარჯვებს.

ომი დასავლეთ ევროპაში და ხმელთაშუა ზღვაზე

საომარი მოქმედების დღიური

16 ივნისი

პარიზის დათმობის შემდეგ, საფრანგეთის სარდლობამ და არმიამ ვერ მიიღეს მოსალოდნელი ხანმოკლე შესვენება. გერმანიის ჯარი არ შეჩერებულა დედაქალაქში და განაგრძობს საფრანგეთის უკანდახეული არმიების დევნას მთელ ფრონტზე ლა-მანშის სანაპიროდან მდინარე მარნის სათავეებამდე.

გერმანიის სარდლობა, ჯარის ძლიერი დაღლილობისა და ადამიანთა და მატერიალური ნაწილის დიდი დანაკლისის მიუხედავად, არ ასუსტებს შეტევის ტემპს, ეს, როგორც ეტყობა, იმით აიხსნება, რომ იგი ცდილობს საბოლოოდ მოშალოს საფრანგეთის უკანდახეული ჯარი და არ მისცეს მას შესაძლებლობა გამაგრდეს მდინარე ლუარის უკანასკნელ გადამწყვეტ თავდაცვითს მიჯნაზე. ამ პირობებში საფრანგეთის არმიის მთავარი ძალებისათვის უაღრესად ძნელია მოსწყდნენ მიწოლილ გერმანიის ჯარს, რათა მოიგონ დრო, რაც ესოდენ სჭირდებათ მათ გადასაჯგუფებლად და ლუარის სამხრეთ სანაპიროზე თავდაცვითი პოზიციების მოსამზადებლად. დევნაში ძირითად ამოცანას ასრულებენ გერმანელთა ჯავშანსატანკო და მოტორიზებული ნაწილები. საფრანგეთის ჯარის პარიზის ჯგუფისათვის მეტად კრიტიკული მდგომარეობა იქმნება.

არანაკლები მძიმე ვითარება იქმნება საფრანგეთის იმ ჯარისათვისაც, რომელიც თავს იცავს მაჟინოს ხაზზე.

გერმანიის სარდლობამ დიდ რეზერვებს მოუყარა თავი შალონსიურ-მარნ-მონმედის ფრონტზე და საარის რაიონში და 15 ივნისს დაიწყო კომბინირებული შეტევა მაჟინოს ხაზის გამაგრებულ პოზიციებზე. შეტევა სწარმოებს ერთსა და იმავე დროს ფრონტიდან საარბრიუკენის რაიონიდან, მაჟინოს ხაზის სიმაგრეებზე და შალონ-სიურ-მარნის რაიონიდან ამ სიმაგრეებისათვის ზურგიდან შემოსავლელად. შექმნილ ვითარებაში საფრანგეთის სარდლობამ როგორც ეტყობა მიიღო გადაწყვეტილება — გამაგრებული რაიონებიდან გადაიყვანოს საველე ჯარის ძირითადი ძალები, რომელთა გაწირვასაც ახლანდელ პირობებში არავითარი აზრი არა აქვს.

მაჟინოს ხაზის სიმაგრეებს, როგორც ეტყობა, მხოლოდ მათი მუდმივი ძალები იცავენ. ალბათ, ამით აიხსნება გერმანელთა უკანასკნელი წარმატებანი ფრონტის ამ უბანში.

მაჟინოს ხაზის სიმაგრეებს, რომლებმაც შექმნილი ვითარების პირობებში საგრძნობლად დაჰკარგეს თავიანთი სტრატეგიული მნიშვნელობა, საფრანგეთის გარნიზონები სტოვებენ თანდათან, ძირითადი ჯარების გაყვანისთანავე.

საფრანგეთ - იტალიის ფრონტზე და ხმელთაშუა ზღვის ასპარეზზე საომარი მოქმედება წინანდებურად იფარგლება მზვერავი რაზმების მცირე შეტაკებებით და მოწინააღმდეგეთა სამხედრო - საზღვაო ბაზებსა და აეროდრომებზე ყუმბარმშენი ავიაციის თავდასხმებით.

რეიტერის სააგენტოს ცნობა

ლონდონი, 16 ივნისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს შემდეგს ინსპირირებულ ცნობას: „ლონდონის ავტორიტეტულ წრეებში ჰფიქრობენ, რომ ახლანდელ მდგომარეობაში სავსებით ბუნებრივია დაუსაბუთებელი და ცრუ ხმების გავრცელება საზავო წინადადებისა და საზავო მოლაპარაკების შესახებ. მთელი სიცხადითა და სიმტკიცით შეიძლება განცხადებულ იქნას, რომ ინგლისმა გადაჭრით და ურყევად გადასწყვიტა განაგრძოს ბრძოლა, სანამ გამარჯვება არ იქნება უზრუნველყოფილი. ხმელეთზე რომ საფრანგეთის წინააღმდეგობის უნარიც სერიოზულად იქნას შესუსტებული, იგი, მიუხედავად ამისა, ყველაზე ძლიერი საზღვაო სახელმწიფო იქნება ევროპაში ინგლისის შემდეგ. ინგლის - საფრანგეთის შეერთებული საზღვაო ფლოტი შესძლებს უზრუნველჰყოს ეფექტიანი ბლოკადა, რომელიც უფრო სრული გახდა ომში იტალიის ჩაბმის შედეგად.

გერმანია ახლანდელი შეტევის პირობებში ფართო მასშტაბით იყენებს თავის რესურსებს. თუმცა შესაძლებელია, რომ მისი რესურსები ჯერ კიდევ გამოლეული არ არის, მიუხედავად ამისა, თუ გერმანია უახლოესი თვეების განმავლობაში ვერ დაამარცხებს ბრიტანეთის იმპერიასა და მის მოკავშირეებს, მაშინ გერმანიის მთელი იმედი, რომ ოდესმე დაამარცხებს ბრიტანეთის იმპერიას, საბოლოოდ გაცრუვდება. ბრიტანეთისა და საფრანგეთის იმპერიის კოლოსალურ რესურსებს ამერიკის შეერთებული შტატების იმ რესურსებთან ერთად, რაც მოკავშირეთა განკარგულებაშია გადაცემული, უფროდაუფრო მეტი მნიშვნელობა ექნება ყოველი ახალი კვირის შემდეგ. გარდა ამისა, ინგლისი სულ უფროდაუფრო მეტად იყენებს ბრძოლისათვის თავის ცოცხალ ძალას. ამ უკანასკნელი ხუთი კვირის განმავლობაში ინგლისის არმიაში გაწვეულია მეტი ხალხი, ვიდრე ოდესმე ყოფილა გაწვეული. მაგრამ ეს არ წარმოადგენს ზღვარს. შემდგომში ეს ციფრიც მნიშვნელოვნად იქნება გადამეტებული. განუწყვეტლივ მატულობს თვითმფრინავების, იარაღისა და საომარი მასალის წარმოება. დიდი მასშტაბით მოდის საომარი მასალა ამერიკიდან და მალე ამ მასალის შემოსვლა იმდენად გადიდდება, რომ მას მხოლოდ ჩვენი ნავსადგურების გამტარუნარიანობა თუ შეზღუდავს. წინააღმდეგ გერმანიისა, ჩვენ მზად ვართ განვაგრძოთ ომი იმდენად დიდხანს, რამდენადაც ეს საჭირო იქნება, რათა გავანადგუროთ ჩვენი მოწინააღმდეგენი მაშინაც კი, თუ ამ ამოცანის შესრულება რამდენიმე წელს მოითხოვს“.

ლონდონი, 16 ივნისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო ბორდოდან გადმოგვცემს: „კატეგორიულად უარჰყოფენ ამერიკელთა ცნობას იმის შესახებ, რომ თითქოს საფრანგეთმა სთხოვა გერმანიას გადასცეს მას საზავო პირობები“.

საომარი მოქმედება ეგვიპტე-ლიბიის საზღვარზე

ლონდონი, 16 ივნისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს კაიროში დღეს გამოქვეყნებულ შემდეგს კომუნიკეს ეგვიპტე-ლიბიის საზღვარზე წარმოებული საომარი მოქმედების შესახებ: „გუშინდელი დღის განმავლობაში ინგლისის სამხედრო - საჰაერო ძალები განაგრძობდნენ აქტიურ ოპერაციებს. ისინი თავს დაესხნენ დირედაუას. ბომბარდირებამ დიდად დააზიანა საავიაციო ბაზა და ნაგებობანი. შემჩნეულ იქნა, რომ ცეცხლი გაუჩნდა დიდ ანგარს. ამავე დროს ორ ადგილას გაჩნდა ხანძარი რკინიგზის კვანძის მახლობლად.

მეორე საჰაერო თავდასხმა მოხდა მაკაკაზე. აქაც შემჩნეულ იქნა, რომ ყუმბარები პირდაპირ მოხვდა აეროდრომსა და ნაგებობებს.

კენია-სომალის საზღვარზე საზვერავი ფრენის დროს ინგლისის ერთ თვითმფრინავს ტყვიამფრქვევი დაუშინა იტალიელთა საზღვრისპირა საგუშაგომ ელ ვაკში“.

რეიტერის სააგენტო დასძენს, რომ ინგლისელთა მიერ კაპუცოს ფორტის დაკავების დროს დატყვევებულ იქნა 8 იტალიელი ოფიცერი და 300 ჯარისკაცი.

ნიუ-იორკი, 16 ივნისი (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტო ალექსანდრიიდან იუწყება, რომ ეგვიპტე-ლიბიის საზღვარზე ძლიერი ბრძოლაა იტალიისა და ინგლისის ჯარებს შორის.

ტანჟერის ოკუპაციის შემდეგ

ნიუ-იორკი, 16 ივნისი (საკდესი). გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ მადრიდელი კორესპონდენტის ცნობით, ფალანგისტების ორგანო გაზეთი „არიბა“, ეხება რა ტანჟერის ოკუპაციას, აცხადებს, რომ „ესპანეთს თავისი კოლონიები უნდა ჰქონდეს“. „ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტის აზრით, „ესპანელებს რომ განზრახული ჰქონდათ დაეკავებინათ ტანჟერი, ეს ინგლისმა და საფრანგეთმა წინასწარ იცოდნენ. შესაძლოა, თვითონ მათ მისცეს წინადადება ესპანეთს გადაედგა ეს ნაბიჯი, რათა ხელი შეეშალათ მეომარი მხარის მიერ ტანჟერის დაკავებისათვის“. „ალბათ, ამერიკის შეერთებულმა შტატებმაც, — სწერს შემდეგ კორესპონდენტი, — როგორც ისეთმა ქვეყანამ, რომელმაც ხელი მოაწერა კონვენციას ტანჟერის სტატუტის შესახებ, წინასწარ იცოდა, რომ ესპანეთი ასე მოიქცეოდა“.

გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ ლისაბონელი კორესპონდენტი იუწყება, რომ პორტუგალია გულშვიდად შეხვდა ესპანეთის მიერ ტანჟერის ოკუპაციას.

ლონდონი, 16 ივნისი (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ტანჟერიდან იუწყება, რომ ინგლისისა და საფრანგეთის საკონსულოებს იცავენ ესპანეთისა და მაროკოს ჯარის ძლიერი რაზმები. ამ საკონსულოების მახლობლად მოწყობილ იქნა ინგლისის საწინააღმდეგო დემონსტრაცია. დემონსტრანტები გაჰყვიროდნენ: „ტანჟერი ჩვენია!“, „გიბრალტარი ესპანეთს ეკუთვნის!“.

ლონდონი, 16 ივნისი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ესპანეთის იმ ჯარის რიცხობრივი შემადგენლობა, რომელმაც ტანჟერი დაიკავა, გადიდებულ იქნა 3.500 კაცამდე. ტანჟერის ყურეში ჩავიდა ესპანეთის კრეისერი.

გერმანიის ჯარის მიერ საფრანგეთში დაკავებული რაიონების ეკონომიური მნიშვნელობა

ნიუ-იორკი, 15 ივნისი (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, ამერიკის შეერთებული შტატების მიწათმოქმედების სამინისტროს ექსპერტთა აზრით, გერმანიის ჯარმა საფრანგეთში დაიკავა ტერიტორია, რომელზედაც საფრანგეთი იღებდა მთელი თავისი ქვანახშირის ორ მესამედს, ადნობდა თუჯის 15 პროცენტს და ფოლადის 12 პროცენტს. გერმანელთა მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე არის საფრანგეთის შაქრის ჭარხლის მთელი ნათესის 90 პროცენტი, კარტოფილის ნათესის 12 პროცენტი, ხორბლის ნათესის 30 პროცენტი და საკვებ კულტურათა ნათესის 15 პროცენტი.

სტეფანის სააგენტოს ცნობა

რომი, 16 ივნისი (საკდესი). სტეფანის სააგენტო იუწყება, რომ „მატარებელი, რომელშიც არის იტალიის დიპლომატიური და საკონსულო კორპუსი საფრანგეთში, მათ შორის იტალიის ელჩი გვარილია, ფრანგებმა სასაზღვრო სადგურზე დააკავეს და უკვე სამი დღეა იქ დგას. იტალიის კოლონიის სხვა პირნი, რომელთაც საფრანგეთი უნდა დაეტოვებინათ და იმავე მატარებელს უნდა გაჰყოლოდნენ, გამომგზავრების მომენტში დააკავეს“.

გერმანიის ჯარის შეტევა

ნიუ-იორკი, 16 ივნისი (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტო ბაზელიდან გადმოგვცემს, რომ, არსებული ცნობების თანახმად, გერმანიის დივიზიებმა გადალახეს მდინარე რაინი ნოიბრიზახთან და შეუტიეს ქალაქ ვეზულს, რომელიც 50 კილომეტრზე მდებარეობს ბელფორის დასავლეთით. როგორც სჩანს, განაგრძობს სააგენტო, გერმანელები ცდილობენ დაარტყან საფრანგეთის არმიის ფლანგს ბურგუნდიის კარის ჩრდილოეთით.

გერმანიის ავიაცია თავს დაესხა ტურს

ნიუ-იორკი, 16 ივნისი (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო ტურიდან იუწყება, გერმანიის ავიაცია დღევანდელი დღის განმავლობაში სამჯერ დაესხა თავს ქალაქ ტურს.

საჰაერო თავდასხმა იტალიის ქალაქებზე

ბერლინი, 16 ივნისი (საკდესი). გაზეთ „ბერლინერ ბერზენციტუნგის“ რომაელი კორესპონდენტი იუწყება, რომ „13 ივნისს, ღამით, რომის თავზე გამოჩნდნენ მტრის თვითმფრინავები. მიუხედავად საზენიტო არტილერიის ძლიერი ცეცხლისა, თვითმფრინავებმა დიდძალი ფურცელი ჩამოჰყარეს ქალაქში. მეორე დღეს რომის მცხოვრებლებმა ეს ფურცლები იპოვნეს სახლების სახურავებზე, ტერასებზე და ქუჩებში. იტალიის ხელისუფალთა ცნობაში თავდასხმის შესახებ აღნიშნულია, რომ ღამით ზღვიდან და ჰაერიდან თავდასხმა მოხდა აგრეთვე იტალიის სხვა ქალაქებზე. 14 ივნისს მტრის კრეისერმა მცირე და საშუალო ყალიბის ქვემებით დაუშინა გენუის რეიდს. დანგრეულია მრავალი სახლი“.

სამხედრო ვალდებულთა გაწვევა ინგლისში

ლონდონი, 16 ივნისი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ინგლისში დაიწყო 1911 წელს დაბადებულ სამხედრო ვალდებულთა გაწვევა.

ესპანეთის საომარი მზადება

ლონდონი, 16 ივნისი (საკდესი). გაზეთი „ნიუს ქრონიკლი“ სწერს, რომ სარაგოსა-მირანდის რკინიგზის გასწვრივ, რომელიც გადის საფრანგეთ-ესპანეთის საზღვრის პარალელურად, აგებულია 11 ახალი აეროდრომი. აგებულია აგრეთვე რამდენიმე ახალი მიწისქვეშა აეროდრომი, რომლებიც სავსებით მომარაგებულია საომარი მასალით, რადიოგადამცემებითა და საზენიტო ქვემეხებით. ლავადორესის (ვიგოდან 3 მილზე) აეროდრომს, რომელიც აგებულია გერმანელი ინჟინრების ხელმძღვანელობით, აქვს 1 მილი სიგრძისა და 100 იარდზე მეტი სიგანის ბეტონიანი ასაფრენი მოედანი. მეორე აეროდრომი აგებულია მორანიაში, 11 მილზე პონტევედრის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით. გერმანელი ექსპერტების მეთვალყურეობით გადაკეთებულია აგრეთვე ბილბაოს აეროპორტი. ნავარაში, საფრანგეთის საზღვრის მახლობლად, თავმოყრილია დიდძალი საომარი მასალა, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი საარტილერიო ჭურვებისა და საავიაციო ყუმბარებისაგან შესდგება.

ნორვეგიელ მეზღვაურთა ცოლების წერილი

ოსლო, 16 ივნისი (საკდესი). გაზეთ „სანდეფიორდსბლადეტში“ გამოქვეყნებულია წერილი ნორვეგიის სავაჭრო ფლოტის იმ მეზღვაურთა ცოლებისა, რომელთა ქმრები მოკავშირეთა ტყვეობაში იმყოფებიან. „ჩვენ, — სწერენ ისინი, — ვმათხოვრობთ. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ქმრებს სამი თვის ხელფასი ეკუთვნის, არავითარი საარსებო სახსარი არ გაგვაჩნია. არა გვაქვს პური. თავის დროზე ფინეთში ათეული ათასობით კრონი იგზავნებოდა, მაგრამ, როცა საქმე ნორვეგიელ მეზღვაურთა ოჯახებზე მიდგა, ყველანი სდუმან“.

ჩუნცინის ევაკუაცია

ჩუნცინი, 16 ივნისი (საკდესი). როგორც სენტრალ ნიუსის სააგენტო იუწყება, ჩუნცინის ადგილობრივმა ხელისუფლებამ მიიღო მთელი რიგი ზომები მოსახლეობის ევაკუაციისათვის. წინადადებაა მიცემული, რომ ქალაქი პირველ რიგში დასტოვონ მოხუცებმა და ბავშვებმა. ქალაქიდან დაუყოვნებლივ გადატანილ იქნება ფაბრიკების, ქარხნებისა და სავაჭრო საწარმოთა მატერიალური მარაგი, ბენზინი, ნავთი, მთელი აალებადი და ფეთქებადი ნივთიერება, აგრეთვე სახელმწიფო და სამხედრო დაწესებულებათა კუთვნილი საწყობები.

„თონდრაკელები“ თბილისის სომხურ თეატრში: სურათზე (მარცხნიდან) — მსახიობები გ. არუთიუნიანი (ჰაგიკ არწრუნი), დ. ამირბეგიანი (სმბეთ ბაგრატუნი), მ. მოდშერიანი (გოჰარ), ა. ლუსიციანი (სმბეთ ზარეავანცი).

„თონდრაკელები“

თბილისის სახელმწიფო სომხურ თეატრში

ისტორიული დრამა 9 სურათად ექ. ბაჰათურისა, დადგმა ა. ა. აბარიანისა, მხატვ. რ. ნალბანდიანი.

პიესის „თონდრაკელების“ თემა აღებულია X საუკუნის სომხეთის ცხოვრებიდან და გვიხატავს მეფეთა და სასულიერო პირთაგან დაბეჩავებულ-დამონებული გლეხობისა და მშრომელი ხალხის მოძრაობას, მათი სოციალურ-ეკონომიური პირობებით გამოწვეულ აღშფოთებასა და გულისწყრომას მჩაგვრელებისადმი, თავისუფლებისაკენ გულწრფელ მისწრაფებას და გმირულ ბრძოლას.

„თონდრაკელთა“ მოძრაობა, რომელიც ორ-სამ საუკუნეს გაგრძელდა, ცნობილია სომხურ ისტორიაში. მის შესახებ მრავალი წყარო არსებობს. დრამატურგს ეკატერინე ბაჰათურს კარგად შეუსწავლია და სწორად გამოუყენებია ეს წყაროები. მასალა დახვეწილია, ისტორიულ ფაქტებზე დამყარებული და მხატვრულად გამართლებული.

ხოლო ამ დადებით მხარეებთან ერთად პიესას თან ახლავს ზოგიერთი ნაკლიც. ზოგიერთი ადგილი მეტად გაჭიანურებულია და მიტინგის ხასიათს ატარებს. პიესაში მოცემული ზოგიერთი ამბავი ორგანიულად არ არის დაკავშირებული სიუჟეტთან. მკრთალია გოჰარის, ჰოვნათანის, შაჰანდუხტის, წოვინარის და კამსარის სახეები.

ენა პოეტურია, მხატვრული, მაგრამ მთელი რიგი გრამატიკული შეცდომები ჯერ კიდევ შესასწორებელია. მიუხედავად ყველა ამისა, „თონდრაკელები“, როგორც ორიგინალური, სერიოზული შემოქმედება, დიდ ინტერესს იწვევს.

რაც შეეხება პიესის დადგმასა და მხატვრულად გაფორმებას, უნდა ითქვას, რომ დამდგმელ-რეჟისორს ა. აბარიანს დიდი შრომა გაუწევია, რათა მიეღო ისტორიულად და მხატვრულად გამართლებული სპექტაკლი. შეძლებისდაგვარად სანახაობა მოცემულია საკმაოდ რეალისტურ ფორმებში, თუმცა ზოგიერთი სურათი ასუსტებს საერთო შთაბეჭდილებას. მაგალითად, მონასტრის ტრაპეზი და ჯვარი არ არის თავისი ეპოქის დამახასიათებელი, ჰოვაკიმ ეპისკოპოსისა და გოჰარის შეხვედრა და მოტყუება უეცარია და არადამაჯერებელი. სუსტია მასობრივი სცენები, ტანსაცმელები ვერ ახასიათებენ X საუკუნის სომხეთს. მაგრამ მთავარი ის არის, რომ აბარიანის მიერ სწორად არის გაგებული და გაშლილი თონდრაკელების ბრძოლისა და მოძრაობის მთავარი მიზანი. ამიტომაც ყველა ზემოჩამოთვლილი ნაკლი რჩება უკანა პლანზე და არ ჩრდილავს სპექტაკლს.

სმბატ ბაგრატუნის როლში კარგია მსახიობ დ. ამირბეგიანი, მაგრამ მსახიობს ზოგიერთ სცენაში აკლია თავდაჭერილობა. ზედმეტია მასხარასთან გამართული ტრაგიკული სცენა (მესამე სურათი), თვალების ბრიალი და სიჩქარე. პირიქით საჭიროა მეტი სიდინჯე, დარბაისლობა, მდგომარეობის შეგნების სიმძიმე. მ. ტიროსიანი შაჰანდუხტის როლში იჩენს საკმაო წინსვლას, თუმცა თვით როლი მას დიდ გასაქანს არ აძლევს. მისი გარეგნობა, ხმა და გამომეტყველება შესაფერისია ამ როლისათვის.

გ. ავაქიანს (სისაკანი) ეტყობა გულმოდგინება და თავისი როლის სიყვარული. თუმცა ის წამყვან როლს არ თამაშობს პიესაში, მაგრამ მაინც რჩება მაყურებლის მეხსიერებაში.

ორიგინალურია ჰ. ტერ-ღევონდიანი მოკელთა მთავრის როლში, ხოლო ცოტა უფრო მეტი სიცოცხლე და ტემპი ესაჭიროება.

ანძევაცის როლი საშუალებას არ აძლევს მსახიობ პაჰარეს, გამოამჟღავნოს თავისი არტისტული შესაძლებლობა და თვისებები. საერთოდ ეს როლი მისთვის შეუფერებელია.

კარგია ახალგაზრდა მსახიობი ს. ბაბლოიანი ვარაჟნუნის როლში. ჰ. ჰარუთიუნიანი ასრულებს ორ როლს — გაგიკ არწრუნისა და მარუთისა. პირველში იგი მოისუსტებს, სამაგიეროდ საუცხოოა მარუთის როლში. ახალგაზრდა მსახიობ ჰ. უმიკიანს კიდევ მეტი მუშაობა დასჭირდება, რათა სრულჰქმნას კამსარის სახე.

თავიდანვე მაყურებლის ყურადღებას იპყრობს რესპუბლიკის დამსახურებული მსახიობი ჰ. ბეროიანი — ჰოვაკიმ ეპისკოპოსის როლში. მისი ჰოვაკიმი დიდხანს დარჩება მაყურებლის მეხსიერებაში.

მარუთიანის (მისაქი) თამაში უთუოდ საინტერესოა. სუსტია ჰ. გალსტიანი ვაჩეს როლში. მონოტონურია ა. ქაჯვორიანი ტაჭატის როლში. განსაკუთრებული ყურადღებით გვინდა აღვნიშნოთ რესპუბლიკის დამსახურებული მსახიობის ვ. გალსტიანის თამაში ჰაკოვბოსის როლში. დიდიხანია, გალსტიანს ასეთი ოსტატობით არ უთამაშნია. მთელი მისი თამაში მეტად ბუნებრივი და ემოციურია.

საუცხოოა რესპუბლიკის დამსახურებული მსახიობი ლ. ალაჰვერდიანი ოსტატას როლში. ის ხორცშესხმული წყრომაა პაშინდელი გაბატონებული კლასის წინააღმდეგ და მთავარ გმირს ზარიჰავანცის არ ჩამორჩება.

პიესის ძირითადი და მთავარი გმირის სმბატ ზარიჰავანცის როლს ასრულებს ნიჭიერი ახალგაზრდა მსახიობი ა. ლუსინიანი. მის მიერ განსახიერებული სმბატ ზარიჰავანცის ტიპი საყვარელი ხდება მაყურებლისათვის. ლუსინიანს კარგად გაუგია ზარიჰავანცის სულიერი და ფიზიკური რაობა და სწორედ აქედანაც გამომდინარეობს მისი თამაშის გამარჯვება. სამწუხაროდ ზოგიერთ ადგილას ლუსინიანი ძალას ატანს ხმას, რაც აფერმკრთალებს მის შინაგან განცდებს.

კარგია ფ. ბეიკიანი უსინათლო გლეხის როლში. ბეიკიანი სამართლიანად იმსახურებს მაყურებლის სიმპატიას ამ როლის შესრულებით. მსახიობი ტ. ვარდაზარიანი საკმაოდ გაიზარდა. ის ამ პიესაში თამაშობს თათულის რთულ როლს. მისი თამაში არ არის ინტერესს მოკლებული.

სტ. მელიქიანი ჰოვნათანის როლში კარგია მესამე სურათში, ხოლო იქ, სადაც მას უფრო მეტი ადგილი უჭირავს, როგორც ერთერთ მთავარ გმირს, უჭირს და როლს ჯერ კიდევ აკლია დამუშავება. ჩვენ ზედმეტად მიგვაჩნია ვარდკესის როლი, რომელიც გასაქანს არ აძლევს რესპუბლიკის დამსახურებულ მსახიობ გ. ფირუმიანს თამაშისათვის.

გოჰარის როლს ასრულებენ რესპუბლიკის დამსახ. მსახიობი მარი ბეროიანი და მსახიობი მ. მოჰორიანი. ორივეს თამაში საყურადღებო და მშვენიერია, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ პირველ სურათში მ. მოჰორიანის თამაში უფრო დამაჯერებელი და ბუნებრივია, ხოლო მერვე სურათში მარი ბეროიანი საუკეთესოა თავისი უშუალო, თბილი გრძნობებითა და ემოციით.

მკრთალია ა. აშჩიანი წოვინარის როლში. მას გარეგნობა ხელს არ უწყობს გმირული საქმეებისათვის, მისი ხმაც ნაზია და მებრძოლის სიტყვების შეუფერებელი.

კარგია ო. სამურგაშიანი ნაზეს როლში. დანარჩენი მსახიობები ხელს უწყობენ წარმოდგენის ნორმალურ მსვლელობას.

დიდი შრომა აქვს გაწეული აგრეთვე მხატვარ რ. ნალბანდიანს, რომლის ნამუშევარში ზოგი რამ საკამათოა (ეკლესია, ორნამენტები, სევანის ტბა — კუნძულ-მონასტერი, ტანსაცმელი და სხვ.), მაგრამ საერთოდ იპყრობს მაყურებლის ყურადღებას, მით უმეტეს წინა პლანის უზარმაზარი სვეტებითა და თაღებით.

მუსიკა, რომელიც დაწერილია ხელოვნების დამსახ. მოღვაწის ორდენოსანი კომპოზიტორის ა. ტიგრანიანის მიერ, თავის ძველი ხალხური ჰანგებით ხელს უწყობს მოცემულ ეპოქის გადაშლას, ხოლო შესრულება ზოგიერთ ადგილას მსახიობის სიტყვას ჰყრუებს.

საერთოდ პიესა „თონდრაკელების“ დადგმა დიდი წარმატებაა თბილისის სახელმწიფო სომხური თეატრისათვის.

სურენ ავჩიანი.

მშობელთა უნივერსიტეტში

თბილისის ჯანმრთელობის განყოფილების სანკულტურის სახლთან არსებული მშობელთა უნივერსიტეტი ლექციებსა და კონსულტაციებს აწყობს ფაბრიკებსა და ქარხნებშიც.

პირველი გამსვლელი ლექცია ეწყობა 19 ივნისს აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში. ლექციის თემაა: „საზაფხულო გამაჯანსაღებელი მუშაობა ბავშვთა შორის“. ლექციას წაიკითხავს დოც. ა. ყანჩელი.

20 ივნისს სანკულტურის სახლში სამხრეთის შოფერთა კავშირის მოთხოვნით შესდგება დოც. ვეპაშელის ლექცია ნერვიულ ბავშვების აღზრდის შესახებ.

ლექციის შემდეგ უჩვენებენ ხმოვან კინოს.

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
1939-40 წ. წ. სეზონის დახურვა 18 ივნისს
ს. კლდიაშვილის
გრაფის ქვრივი
დადგმა დ. ალექსიძის.
დირექცია.

სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი
(ფუნიკულორის პლატო)
18 ივნისს **ესტრადაზე კონცერტი** დასაწყისი 9-30 წუთზე
მონაწილეობენ **ვასო გოძიაშვილი** (რესპ. დამსახ. არტ.), ა. რამიშვილი, სალახაია-ბიძინაშვილი, ე. გედალინა, პ. კობახიძე (რესპ. დამსახ. არტ.) და სხვები
საცეკვაო მოედანზე **ევროპული ცეკვები**
მასობრივი თამაშობანი
დაუკრავს **ჯაზ-ორკესტრი**
დილის 11 საათიდან საბავშვო სეირნობა და გახართობები.

საქართველოს სახელმწიფო ესტრადის დირექცია
აცხადებს მსურველთა საყურადღებოდ,
რომ ა. წ. 19 ივნისიდან 23 ივნისამდე იწარმოებს საქართველოს სიმღერის და ცეკვების სახელმწიფო
ანსამბლში მისაღებ მონაწილეთა შერჩევა
შერჩევა იწარმოებს 19, 21, 23 ივნისს დღის 1 საათიდან 4 საათამდე, ხოლო 20, 22 ივნისს საღამოს 6 საათიდან 9 საათამდე სახელმწიფო ესტრადის შენობაში (პლეხანოვის პროსპ. № 123), ცნობების მიღება ამხ. ვ. პატარაიასთან.
ტელ. 3-55-24.
185
დირექცია.

დაკარგულია — ორჯონიკიძის რაიონის სახლთმმართველობის № 353 საკუთხედი ბეჭედი ჩ. გ. 6724

ბიძა პეტრე, დეიდა საშა, დეიდაშვილები კოლია, კატუშა, შვილებით, ავთანდილ, ელენე, კაპიტო კუტალაძეები შვილებით იუწყებიან
მარგო გოლაშვილი-ჩიპაშვილის
გარდაცვალებას. 6824

დედა ბარბალე, ცოლი თამარ, შვილი გულნაზი, დები, რძლები, ძმები, სიძეები იუწყებიან, რომ 18/VI 6 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია
გოგი ნაკაშიძის
სამოქალაქო პანაშვიდი. 6822

დედა ეკა, დები ნადია, თამარ, ძმები სევერიანე, გიორგი, ბენია, რძლები თამარ, ბაცუნა, სიძეები ილია, რაჟდენ იუწყებიან
ივანე ალექსანდრეს-ძე გოგაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 18/VI ს. ტობანიერში. 80

მეუღლე არშაკ, შვილები ჟენია და გაიოზ, დები, და ძმები იუწყებიან, რომ 18/VI 3 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია
მარო ზაქარიას-ასულ ტერ-აზაროვის
სამოქალაქო პანაშვიდი. 6821

აკაკი წერეთლის დაბადებიდან 100 წლისთავის გამო

აკაკი წერეთლის იუბილესათვის

(„კომუნისტის“ კორესპ.)

აკაკი წერეთლის საყვარელ სამყოფელს ქუთაისი წარმოადგენდა. თავისი სიცოცხლის დიდი ნაწილი მან სწორედ აქ — „სავარდო და სამაისო“ ქალაქში გაატარა. უფრო მეტად აქედან იფრქვეოდნენ ხალხში გულის სიღრმემდე მიმწვდომი მისი ლექსების სტრიქონები.

განახლებული ქუთაისის მკვიდრთ კარგად ახსოვთ ჭაღარა აკაკისთან შეხვედრები.

ქუთაისის მშრომელთა ამ ღრმა პატივისცემასა და სიყვარულს აკაკისადმი მოწმობს ის გაცხოველებული მზადება, რომელსაც ისინი ეწევიან ახლა თავიანთი მშობლიური პოეტის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად.

ქალაქის დაწესებულებებსა და საწარმოებში, სკოლებსა, ბიბლიოთეკებსა და კლუბებში უკვე ჩატარდა და ამჟამადაც ტარდება საიუბილეო საღამოები — მიძღვნილი აკაკის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი. დიდი საიუბილეო საღამოები, მწერალთა და ქუთაისის სახელმწიფო თეატრის მსახიობთა მონაწილეობით, მოეწყო კულტურის სახლში (სპეციალურად ქალაქის წარმოება - დაწესებულებათა მუშამოსამსახურეთათვის), სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში, ტყავფეხსაცმლის კომბინატში, სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში და სხვ. საიუბილეო კომიტეტი და საქართველოს მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილება პოეტისადმი მიძღვნილ საღამოებს მართავენ აგრეთვე მაუდის ფაბრიკაში, კიროვის სახელობის საკერვალო ფაბრიკაში, პიონერთა სახლში, წყალტუბოში. კურორტ წყალტუბოში გამართულ საღამოში მონაწილეობას მიიღებენ საბჭოთა კავშირის შორეული რაიონებიდან ჩამოსული დამსვენებლებიც.

ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოების გადაწყვეტილებით აკაკისადმი მიძღვნილი საქალაქო საიუბილეო საზეიმო სხდომა შესდგება 19 ივნისს ქუთაისის სახელმწიფო თეატრში. სხდომას გახსნის მშრომელთა დეპუტატების ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, აკაკის საიუბილეო კომისიის თავმჯდომარე ამხ. ნ. ჯინჭარაძე. მოხსენებას აკაკის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ გააკეთებს დოც. გ. ჯიბლაძე. მოგონებებით აკაკიზე, აკაკისადმი მიძღვნილი სიტყვებით და ლექსებით და აკაკის ლექსების კითხვით გამოვლენ პოეტის თანამედროვე მწერლები დ. თომაშვილი და დ. მესხი, აგრეთვე მწერლები და პოეტები გ. გიასელი, ე. გუგუშვილი, შ. ჩარკვიანი და სხვ. საზეიმო სხდომის შემდეგ ქუთაისის სახელმწიფო თეატრი უჩვენებს აკაკის „პატარა კახს“. ეს სპექტაკლი თეატრმა პოეტის დაბადების 100 წლისთავს მიუძღვნა.

იმავე დღეს, 19 ივნისს, ქუთაისში გამოვა უკვდავი მგოსნისადმი მიძღვნილი სპეციალური ერთდროული გაზეთი — „აკაკი“, რომელშიაც ადგილობრივი ძალები მონაწილეობენ.

გარდა წერილებისა, გაზეთში დაიბეჭდება აკაკის შემოქმედების ნიმუშები, ფოტოილუსტრაციები პოეტის ცხოვრებიდან და აკაკისადმი მიძღვნილი ლექსები.

გ. ყურაშვილი

დღეს თეატრებსა და კინოებში

თეატრებში: **საოპერო** — „ქეთო და კოტე“, **რუსთაველის სახ.** — „გრაფის ქვრივი“ (სეზონის დახურვა), **მარჯანიშვილის სახ.** — „ბედნიერება“, **მოზარდ მაყურებელთა** — „პატარა კახი“, **გრიბოედოვის სახელობის** — „ანნა კარენინა“, **საქესტრადის საზაფხულო თეატრი** — მოსკოვში სომხური ხელოვნების დეკადის მონაწილე სომხური ჯაზის გასტროლები, **ღია ესტრადა** — საღამო-კონცერტი, **ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი** — მარჯანიშვილის თეატრი — პ. კაკაბაძის კომედია „ყვარყვარე თუთაბერი“, შ. ღამბაშიძის, ყორღოღლიანის და სხვების მონაწილეობით. **სტალინის სახ. პარკი** — ესტრადაზე კონცერტი.

კინოებში: **რუსთაველის სახ.** — „მანერჰაიმის ხაზი“, **ოქტომბერი** — „აზამატ“, **დამკვრელი** (ზაფხულის) — „მანერჰაიმის ხაზი“, **დამკვრელი** (ზამთრის) — „მანერჰაიმის ხაზი“, **კომკავშირელი** (ზაფხულის) — „კონცერტი ეკრანზე“, **კომკავშირელი** (ზამთრის) — „არინკა“, **ლუქსემბურგის სახ.** — „დაგვიანებული სასიძო“, **კომინტერნი** — „დაგვიანებული სასიძო“, **26 კომ. სახ.** (ზაფხულის) — „ასი კაცი და ერთი ქალიშვილი“, **26 კომ. სახ.** (ზამთრის) — „მანერჰაიმის ხაზი“, **ორჯონიკიძის სახ. პარკი** — „პატარა დედა“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

ივანე ფალავანდიშვილი მეუღლით ფედოსით, შვილით რიურიკათი იუწყება ძმისწულის
მარგალიტა ესტატეს-ასულ გოლაშვილი-ჩიპაშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 18/VI 5 ს. 6828

ბერიას სახ. სას. სამ. ინსტიტუტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის თანამშრომლები იუწყებიან ამავე ბიბლიოთეკის თანამშრომლის ირაკლი ბახტაძის მამის
სამსონის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 18/VI ვერის სასაფლაოზე. 6826

ბერიას სახ. სას. სამ. ინსტიტუტის მებაღე-მევენახეობის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტობა იუწყებიან ამავე კურსის სტუდენტ ვაჟა ჩიპაშვილის მეუღლის
მარგო გოლაშვილი-ჩიპაშვილის
გარდაცვალებას. 6816

ქმარი შალვა კაკაბაძე, დედა პისტა, და ხინო მინდელი ქმარშვილით იუწყებიან
კატუშა მაღნარაძე-კაკაბაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 18/VI ს. ძიგურში (აბაშის რ.). 6818

ცოლი ელენე, შვილები თინა (ქრისტინე), დავით, ირაკლი იუწყებიან
სამსონ დავითის-ძე ბახტაძის
გარდაცვალებას. გამოსვენება 18/VI, 5 ს. ყაზბეგის, 21. 6819

ექიმი გიორგი დიდავა იუწყება დედის
პელაგია თედორეს-ასულ დიდავას
გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდა ს. პატრიკეთში. 6820

თბილრაიტრანსტორგპიტის თანამშრომლები იუწყებიან გიორგი ვასილის-ძე ხარაბაძის მამის
ვასილ გიორგის-ძე ხარაბაძის
გარდაცვალებას. 6823

ქუთათელაძის ქ. № 41 მცხოვრები მეზობლები თანაგრძნობას უცხადებენ ხარაბაძეების ოჯახს
ვასილ გიორგის-ძე ხარაბაძის
გარდაცვალების გამო. დაკრძალვა 18/VI კუკიის სასაფლაოზე. 6825

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი. ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 8—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა — 8—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის — 8—57—61, პროპაგანდის და პრესის მიმოხილვის 8—81—84, სასოფლო-სამეურნეოს — 8—78—40, ეკონომიურისა და განათლება-ჯანმრთელობის — 8—80—88, ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის — 8—80—84, წერილების — 8—78—24, პ.-მგ. მორიგის და გამომშვების — 8—81—65, გამომცემლობის — 8—51—81, სტამბის დირექტორის — 8—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

მთავლიტის რწმუნებული ა—1314